№ 2670
კვირა,
14 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2670
კვირა
14 ნოემბერი

გაზეთი ღირს: წლიწადი—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დაბეჭდვა განცხადებათა მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896–1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 872.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ბაღდასაროვი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ზ. ტ. მუდიანი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. ძიმოტინი.—ქირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ექ. ქალი ე. ქ. ოსხლიანი.—ქალისა და [illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ბ. ა. ბოლიძე.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
დ. მ. მონინი.—ქალისა, საზებით და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირას. 1—2 საათამდე.
ვ. ს. მუხიგლოშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
ექ. მ. ხოჯოლიშვილი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ა. მ. ხოჯოლიშვილი.—ქირურგია და ორტოპედია. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოთხი საწოლი სამკურნალოში ავადმყოფები მოთავსებით. კრავატები დღეში დღის 3 მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.

ადრესი: ქუკია, გოლოვინსკის ქუჩა, (ქუკიის ხიდიდან მეექვსე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 5. ტფილისის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ექიმი
ი. ი. ზამბურბერი
რიხოვსკის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—7)

კბილის ექიმი
ალ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანის ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათ. (თგ.—6.—31)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიულ სნებით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—20)

ექიმი
ა. ნ. თეთრაძე
სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—366—10)

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
ადრესი: ნიკოლოზის (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი დანარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამ. 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible] ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792

ტფილისის სათავად-აზნაურო საკრებულო

შეუდგა ტფილისის გუბერნიის თავადთა და აზნაურთა გვარების საშთამომავლო წიგნების შედგენას ამ ჟამად უკვე შედგენილია ქვემოდ ჩამოთვლილ გვარების შტონი: თავადთა აბაშიძეთა, აფხაზთა, აბაშელიკოვთა, ავალოვთა, ამატუნოვთა, იმილახორთა, ამირეჯიბთა, არღუთინსკი-დოლგორუკოვთა, ბაგრატიონ-მუხრანბატონთა, ბაგრატიონ-დავითიშვილთა, ბარათაშვილთა, ბებუთოვთა, ბეგთაბეგოვთა, ვახვახიშვილთა, ვაჩნაძეთა, ვეზიროვთა, გურამიშვილთა, ჯანდიერთა, ჯორჯაძეთა, ლიონიძეთა, მაღალაშვილთა, მელიქიშვილთა და მაჩაბელთა.

იმ პირთ, რომელნიც ეკუთვნიან ამ გვარებს და რომელთაც ჰსურთ შეამოწმონ სინამდვილე და სისრულე საგვარეულო სიაში მოთავსებულ ცნობათა, სთხოვენ მიმართონ დეპუტატთა საკრებულოს (სოლოლაკის ქუჩა, № 10). შაბათობით, 11—12 საათამდე.

ამასთან ერთად საკრებულოს აზრად აქვს შეადგინოს მცოდნე პირთა დახმარებით ისტორია თავად-აზნაურთა გვარებისა.

ამის გამო ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი სთხოვს იმ პირთ, ვისაც მოეპოვება გუჯრები, სიგელები, წყალობის ქაღალდები, ძველი წერილები, მოგონებანი და სხვ. გადასცენ დეპუტატთა საკრებულოს, რომელიც თავის დროზე უკანვე დაუბრუნებს პატრონთ უვნებლივ.

დოკუმენტების წარმომადგენელთ მიეცემათ საკრებულოს მდივნის მიერ კვიტანცია დოკუმენტების მიღებისა; თითონ დოკუმენტები-კი დაცული იქმნება განსაკუთრებულ, ცეცხლის მხრივ უვნებელ ყუთში. (5—6.—4)

ექიმი
ბ. ი. [illegible]
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვებს. ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—6 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—24)

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი
წელიწადი „ცნობის ფურცელი" მეათე
სურათებიანი დამატებით.
ფასი გაზეთისა გაგზავნით
კავკასიაში და რუსეთში: ერთის წლით 6 მანეთი. || საზღვარ გარედ: ერთის წლით 9 მანეთი.
წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი
წელიწადი „მოამბე" მეთორმეტე
ფასი ჟურნალისა გაგზავნით
კავკასიაში და რუსეთში: 1 წლით—10 მ., ცალკე №—1 მან. || საზღვარ გარედ: 1 წლით—13 მ., ცალკე—№ 1მ. 20 კ.

ვინც „მოამბეს" მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი"
უფასოდ გაეგზავნება
მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.
წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.
(გარკვევით უნდა დაიწერონ სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის," ისე „მოამბის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის
„დონ-კიხოტი"
დორეს სურათებით.
ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.
ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (ხამასამდე სურათით), პრემიად დარიგებულ
ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას.
1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.
ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს იმავე პირობით.
პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის" წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ
„მასალები საქართველოს ისტორიისათვის"
ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.
ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 800 გვერდს „მოამბის" ფორმატისას.
რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქ. ამხანაგობის სადგომში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе"-„Цнобисъ Пурцели".

კვირას, 14 ნოემბერს, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

იოსებ ზოსიმეს მის ბაქრაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა გარდაცვალებულისა **ეკატერინე ხვიმონის ასული და მეუღლე ელისაბედ ანტონის ასული შვილებითურთ**. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი—12 საათზე. (2—ო—2)

10 ნოემბერს გარდაცვალა დაბა სურამში

თ. იასონ ბეჟანის ძე ფალავანდიშვილი,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და თანამოსამსახურეთ ბიძა მისი **თავადი ლევან კონსტანტინეს ძე ამირაჯიბი** და მამა **მიხეილ ბეჟანის ძე ფალავანდიშვილი**. პანაშვიდი ყოველ დღე ნაშუადღევის სამ საათზე და საღამოს 7 საათზე. გამოსვენება დაბა სურამიდან სადგურ გომში თოთხმეტს ამ თვეს პირველ საათზე და დაკრძალვა მიცვალებულისა იქნება სოფელ ცერონისში, 16 ნოემბერს. (2—2)

გიორგი პეტრეს ძე ალტიპარმაკოვი იგივე ბერძნიშვილი დიდის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელის მეუღლის

ლიუბა სამსონის ასულისას

და სთხოვს დაესწრნენ გამოსვენებაზე კვირას თოთხმეტ ამა ნოემბერს ნაშუადღევის სამ საათზე ქალ. ქუთაისს გენერლის ქუჩის გადასახვევი, საკ. სახლი. (1—6—1)

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი.
ოთხშაბათს, 17 ნოემბ., ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესები
I **საქმის კაცი** დრამა 3 მოქ. თხზ. მირბოხი, თარ. ვლ. ლორთქიფანიძისა. || II **საიდუმლო** კომ. 1 მოქმ. ტიხინოვისა, თარგ. შათირიშვილისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გაბუნია-ცაგარელი, კარგარეთელი, ჩხეიძე, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გუნია, ივანიძე, კ. მესხი, მატარაძე, სვიმონიძე, შალიკაშვილი, შათირიშვილი, ჩარკვიანი და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
მორიგი ბენეფისი ქ. მესხი შემდეგი წარმოდგენა ბენეფისი ვ. აბაშიძისა. ადმინისტრაცია ამხანაგობისა.

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
კვირა, 14 ნოემბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება „ნ ე რ ო ნ ი". ოპერა 4 მოქ. რუბინშტეინისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დმიტრიევა-პოკაპოვსკაია, ტომკევიჩი, ორელი, ბუნაკოვა, ხარიტონოვა; ბ-ნნი: დონსკოი, პოლუიანოვი, პოროუბინოვსკი, დემიანენკო, ზალინსკი, მურატოვი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე
-15 ნოემბ.—„სევილიელი დალაქი" და „M-lle ფიფი". გამგე ი. ა. კელლერი

გაიხსნა კეროსინის სადგური
ზ. ა. ოგულევიჩისა
ამ ფირმით: „ლიუმენი" ნავთლუღს, ტელეფონი № 1001. ფირმა ზ. დ. ჩიქოვანის გამგეობით ვაჭრობს კეროსინით, ბენზინით და ნავთით ქ. ტფილისსა და ტფილისის გუბერნიის სხვა ადგილებში.
სადგურს საქონელი პირ-და-პირ ქარხნიდან მოსდის, ამიტომ შეუძლიან მიაწოდოს მყიდველს უკეთესის თვისებისა უფრო ნაკლებ ფასად, ვიდრე ტფილისში. რადგან კარგი საწყობები არა აქვთ და არც კარგად ინახავენ, კერძო გამყიდველნი ვერ აწვდიან მსურველთ ხეირიან საქონელს. ჩვენ სადგურს-კი გაუმჯობესებული ჭურჭელი აქვს და სრულიად სუფთა კეროსინი გაგვაქვს ქალაქში გასასყიდად. კეროსინს არაფერი არ ურევია და სწორედ ისეთია, როგორიც საზღვარ-გარედ იგზავნება.
მსურველმა უნდა მიმართოს „ლიუმენის" ნავთლუღის კონტორას ან ტელეფონით.
(3—2) სადგურის საქმეების გამგე ზაქარია ჩიქოვანი.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
12 ნოემბერი

ტოკიო, 11 ნოემბერი („რეიტერი"). პორტ-არტურიდან მოსულ არა ოფიციალურ ამბების ბეჭდვა აკრძალული აღარ არის. რუსები თუმცა ზოგჯერ ციხიდან ესემიან იაპონელებს, მაგრამ საალყე მუშაობა სწრაფად მიდის წინ. 2 ნოემბერს 203 მეტრის გორიდან მეცხოვნე ჯარი იაპონელებს დაეცა, მაგრამ უკუქცეულ იქმნა. რუსებმა ბრძოლის ველზე 26 მოკლული დასტოვეს. 1 ნოემბერს იაპონელთა ბატარეიამ დაიჭირა ისეთი პოზიცია, საიდანაც ნავთ სადგურსა და ქალაქში ზარბაზნების სროლა უფრო ნაყოფიერია.

გავლენიანი გაზეთი, რომელიც ამ ცოტა ხანში დაუყოვნებლივ შტურმის მიტანის მომხრე იყო, ეხლა ამ აჩქარებას ჰკიცხავს, რადგან ამ ახლო მომავალში უეჭველად გავიმარჯვებთო. გამოცხადებულია იაპონელების ზარალი 6—11 ნოემბრამდის. ზარალი 14,400 კაცს შეადგენს; ამათგან 550 აფიცერია, ამ რიცხვში 200 მოკლული აფიცერიც არის. უმთავრეს ფორტებზე მოტანილმა იერიშმა უნაყოფოდ ჩაიარა, მაგრამ პანლუნშანზე მაინც ორი ფორტი აიღეს. ეს გარემოება ციხის აღებას შესამჩნევად დააჩქარებს, რადგან აქედან უკანასკნელ სიმაგრეებამდის ნაღმების ჩაწყობა შესაძლებელია. ამიტომ არის, რომ იაპონელები დიდი ზარალის გამო სულით არ დაეცნენ.

მუკდენი, („რეიტ. სააგ."). სურსათსა, ტანსაცმელსა და ცხენების საკვებს აქვე შოულობენ. ამ რიგად რკინის გზა მხოლოდ ჯარსა და საომარ მასალას ეზიდება.

მოსკოვი. ბუზულუკის პოლკის შტაბს-კაპიტანი კუშევი, რომელიც ბრძოლის ველიდან მოვიდა, ბაასის დროს მე-54 დივიზიის იცავდა. ის ამბობდა, რომ 20.000 რუსის წინააღმდეგ გამოვიდა 70.000 იაპონელი, რომელთაც უკან დიდი არტილერია ჰქონდათ. რაღაც ნახევარ საათში ბუზულუკის პოლკის 32 აფიცრიდან 25 დაიჭრა და მოკვდა, სალდათების ნახევარიც ან დაიჭრა, ან მოკვდა. მეტ ხანს დგომა და ციმბირის კორპუსის ცდა შეუძლებელი იყო. იაპონელები მთელ რიგობით გვეწვეოდნენ. ბევრი გმირული მაგალითიც იყო. მერვე როტის კაპიტანი შჩერბა თავის როტით იაპონელების ჯგუფში შეიჭრა და მერე, როცა უკან დაწევა დაიწყო, იაპონელებმა ხიშტებით ზევით აისროლეს. როტამ იმის გვამი თან წამოიღო.

მუკდენი, 12 ნოემბერი (საკუთარი კორესპ.). რუსეთ-ჩინეთის ბანკის განყოფილების მოქმედება ჯარის მთავარი სადგომთან გაძლიერდა იმის გამო, რომ დიდმა ჯარმა მოიყარა თავი. ჩინელები ნდობით ეკიდებიან ამ ბანკს. რადგან არ იციან, რით გათავდება საქმე და რადგან იაპონელები ცუდად ექცევიან, ჩინელები სცდილობენ ფული ბანკის დახმარებით გაგზავნონ. მცხოვრებნი ძალიან ენდობიან ბანკის აგენტს ნეზაბიტოვსკის.—ბალტიის ესკადრის მოსვლა იაპონელებს დიდ ხანს არა სჯეროდათ. ამ ესკადრის მოახლოვების გამო იაპონელები, როგორც ეტყობა, აღარა სცდილობენ მუკდენის აღებას. ეხლა ისინი უმთავრეს ყურადღებას აქცევენ პორტ-არტურს და სცდილობენ, რაც შეიძლება, ჩქარა აიღონ.—სინძინტინში ტყვედ წაიყვანეს ესაული ვანდალოვსკი. იაპონელებმა იქიდან ტაიძიხეს მარჯვენა ნაპირზე დაიხიეს. 9 ნოემბრის ღამეს ჩვენმა რაზმმა დაიჭირა ორი სოფელი ჩინლიპუს მახლობლად. რაზმს ერთი კაცი მოუკლეს და ერთი აფიცერი და 18 სალდათი დაუჭრეს.

ლონდონი, 12 ნოემბერი („რეიტერი"). იაპონელთა მესამე არმიაში მყოფი კორესპონდენტი „რეიტერის სააგენტოსი" იუწყება, რომ იაპონელებს სხვა ფორტები არ დაუჭერიათ გარდა ორის ფორტისა პანლაუნზეო. ეს ფორტები იაპონელებმა აგვისტოში აიღეს. იაპონელებმა აიღეს ერლუნშანის მოწინავე სიმაგრეები, კუროპატკინის რედუტი და რამდენიმე სხვა მოწინავე სიმაგრეები.

პორტ-საიდი, 12 ნოემბერი („რეიტერი"). რუსის ესკადრა არხში შევიდა. მაქსიმოვი და შვანკი თან ახლავან ესკადრას. ჯავშნიანი გემები ბუქსირით მოდიან.

სუეცი, 12 ნოემბერი, დილის 11 საათი („რეიტერი). ამ ჟამად სუეცის რეიდზე იმყოფებიან ინგლისის კრეისერები „გერმიონე" და „ფოქსი" და იახტები „ემერალდი" და „ფიორენტინო". „ფიორენტინოზე" საფრანგეთის დროშაა. რუსის ნაღმიანი გემები საათში 8—10 მილს გადიან და ისმაილს უახლოვდებიან. განკარგულების თანახმად, მთელი ესკადრა საღამოზე მწარე ტბებთან გაჩერდება. ახალ ინსტრუქციების გამო რუსის კონტრ-ნაღმიანი გემები არ გაჩერდებიან და პირდაპირ სუეცში წავლენ, სადაც ორ საათზედ მივლენ და ხვალამდე დარჩებიან იქ, ესკადრის სხვა გემების მოლოდინში.

მუკდენი, 11 ნოემბერი (სააგენტო საკ. კორესპ.). როგორც ისმის, მოგერებულ იქმნა იაპონელთა უკანასკნელი იერიშები, პორტ-არტურის სიმაგრეებზე მიტანილი. ნიადაგი ქვიანია და ამიტომ იაპონელებს უძნელდებათ ნაღმების ჩასაწყობად გვირაბების გამართვა.

მუკდენი, 11 ნოემბერი (სააგენტოს საკუთ. კორესპ.) ჩვენი მშვენივრად დამალული ბატარეები ნებას არ აძლევენ იაპონელებს თხრილები გამართონ. მოხერხებული იყო გუშინდელი სროლა შახესთან.—ღამღამობით სიცივეები 10 გრადუსამდე ადის. (ნულს ქვეშ).

სუეცი, 12 ნოემბერი („რეიტერი"). 3 საათზე იზმაილზე მშვიდობიანად გაიარა ბალტიის ესკადრის ორმა ჯავშნიანმა გემმა, სამმა კრეისერმა და 9 ტრანსპორტმა.

ვაშინგტონი, 12 ნოემბერი („რეიტერი"). „ასსოსიეტედ პრესსის" ამერიკის ბიურომ ნამდვილ წყაროდან შეიტყო, რომ იაპონიის არმიას ებრძანა დღეს იერიში მიიტანოს პორტ-არტურზე და, რამდენადაც უნდა დაჯდეს, აიღოს უმთავრესი სიმაგრეები.

პარიზი, 12 ნოემბერი. დეპუტატების პალატა, შასტენმა შეკითხვით მიმართა მთავრობას ჰააგის მომავალ სამშვიდობო კონგრესის მომავალ სამშვიდობო კონგრესსის შესახებ. მინისტრმა დელკასემ განაცხადა, რომ მთავრობა თანაგრძნობით მიეგება რუზველტის განზრახვას. კონფერენციის წინ სახელმწიფოები გეგმას შეიმუშავებენო.

მუკდენი, 12 ნოემბერი (საკუთ. კორ.). მდინარე ხუნხეზე და ტაიძიხეზე ყინული და მცირე-წყლობა აბრკოლებს ინკოუდან სურსათის ზიდვას. რადგან ვაგონებისა და ორთქლმავლების საკმაო რიცხვი არ არის, სამხედრო მასალის ზიდვა და ლიაოიანიდან დალნიში დაჭრილების გადაყვანა დაბრკოლდა.—იაპონელები ნაყიდ საქონელში ფასს სამხედრო ქაღალდის ფულით აძლევენ მცხოვრებლებს და ამიტომ ამ ფულის კურსი მცირდება. ლიაოიანისა და ხაიჩენის ვაჭრები ნახევარ ფასში ღებულობენ ამ ფულს. მთელ ფრონტზე მცირე შეტაკებანია. 8 ნოემბერს იაპონელთა ერთმა ესკადრონმა და რამდენიმე როტამ გაიარეს ხიდი სიაოსირთან და დაპინდუშანდთან დასჭრეს და ტყვედ წაიყვანეს სოტნის უფროსი ვანდალოვსკი, შემდეგ კი რუსებმა დიდი ზარალი მიაყენეს იაპონელებს და უკუ აქციეს. 9 ნოემბერს ღამე მოხალისეები მიესივნენ რკინის გზის დასავლეთით იაპონელთა მიერ დაჭერილ სოფლებს, ჩანლიპუს სროლა აუტეხეს მტერს და თავის პოზიციებისაკენ დაიწიეს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან".
12 ნოემბერი.

ჩანხიამუტუნი, 12 ნოემბერი. 9 ნოემბერს ღამე მოხალისეების იერიშის შემდეგ გუშინ ისევ სიწყნარე დამყარდა. მომხდარ შეტაკებათა გარდა, მარჯვენა ფრთაზე ერთმა კოლონამ 10 ნოემბერს იერიში მიიტანა იაპონელებზე ჩანლინპუს ახლოს. შახეს სადგურის დასავლეთით ჩვენებმა წაართვეს იაპონელებს ორი სოფელი და დასწვეს. იაპონელები ძლიერ დაზარალდნენ; ჩვენი ზარალი—1 მოკლული და 19 დაჭრილი.

პარიზი, 12 ნოემბერი. ოფიციალურის დეპეშით იუწყებიან, რომ ჩინებულ მდგომარეობაშია ბალტიის ფლოტის ის რაზმი, რომელიც სუეცის არხში შევიდა და იზმაილისკენ მიდის, სადაც ღამე დარჩება და ხვალ გავა იქიდან.

დამატ. დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ს ატყობინებენ: იაპონელების მხედრავი რაზმები მარჯვენა ფრთაზე (გენ. კუროკის არმია) მდ. შახეზე ეხლა უფრო ბეჯითად მოქმედებენ. ეტყობა, გენ. კუროკის არმია სერიოზულ სამხედრო მოქმედების დაწყებას აპირობს. („რ. ლ.").

იაპონიის არმიის მთავარ-სადგომიდან დეპეშით ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: მარშალმა ოიამამ ბრძანება გასცა, ცენტრმა (გენ. ნოძუს არმიამ) და მარცხენა ფრთამ

(გენ. ოკუს [illegible]) გენ. კუროკის არმიის მოქმედებას შეუფარდონ თავიანთი მოქმედება და წინ გაილაშქრონო. („რ. ლ.“).

ფრანგული გაზ. „ტან“-ი სწერს: ეჭვი არაა, რუსებმა წინადვე გადაწყვიტეს „რასტოროპნი“-ს მსხვერპლად შეწირვა და წინადვე მიიღეს ღონის ძიება იმის ასაფეთქებლად, რადგან ამ ნაღმიან გემს დეპეშები მიჰქონდა და ნება არა ჰქონდა ნეიტრალურ პორტს შეჰფარებოდა; პირ-იქით „რასტოროპნი“-ს შესვლა ნეიტრალურ პორტში ნეიტრალიტეტის სრულ დარღვევად ჩაითვლებაო. („ნ. ვ“).

„ტაიმს“-ი სწერს: რუსებს ნება არა ჰქონდათ „რასტოროპნი“ ნეიტრალურ პორტში აეფეთქებინათ, ეს საქციელი ჩინეთის ნეიტრალიტეტის დარღვევად ჩაითვლებაო. („ნ.“).

„ბერლ. ლოკალ ანცაიგერ“-ი სწერს: რუსის საადმირალომ ახალ ფლოტის დაარსების პლანი შეიმუშავა, „ბაიან“-ის ტიპის ჯავშნიან კრეისერების აშენება გადასწყვიტეს; საადმირალოს პლანით ახალი ფლოტი 400 მილიონ მანეთად დაჯდებაო. („რ. ლ.“).

იაპონური გაზეთი „ჯაპან ტაიმს“-ი (ინგლისურ ენაზედ გამოდის) იუწყება: ქალაქ საგამოს ციხის ტუსაღებმა, რიცხვით 800 კაცამდე, გამოუცხადეს უფროსებს, მთელი ჩვენი დღიური სამუშაო ქირა სამხედრო საჭიროებისათვის შეგვიწირავსო. ციხის უფროსმა უთხრათ, იაპონიას ისე არ უჭირს ფული, რომ თქვენ უკანასკნელი სამუშაო ქირა გამოგართვასთო, მაგრამ თქვენს ასეთ პატრიოტულ საქციელს მაინც უსათუოდ შევატყობინებ იუსტიციის მინისტრსაო („ნ.“)

პორტ არტური. ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ: იაპონელებმა პორტ-არტურში ერთ არსენალს (პორტ-არტურში რამდენიმე არსენალია) ყუმბარა მოახვედრეს და დაანგრიესო. („რ. ლ.“).

„ნოიე ფრაიე პრესე“ წინასწარმეტყველობს, პორტ-არტურს მალე მოეღება ბოლო, რადგან რუსებს სამხედრო სურსათი (ყუმბარა და პატრონი) აკლიათო. რუსები ახლა ძველ ჩინურ სამხედრო სურსათს ხმარობენ. პორტ-არტურში საკვები სურსათი შეაქვთ, სამხედრო კი ვერა. მართალია ციხის დამცველები მეტად ყოჩაღად იბრძვიან, მაგრამ რაკი ციხის ზარბაზნები გაჩუმდებიან, ჯარის მედგრობასა და მამაცობასაც ბოლო მოეღება. ეს წამი მოახლოვებულია. მართალია კონტრ-ნაღმიან გემის „რასტოროპნი“-ს უფროსს უთქვამს, პორტ-არტური კიდევ დიდხანს გაუმაგრდება იაპონელებსაო, მაგრამ ისიც მართალია, რომ ზოგიერთი რუსის ფორტი ზარბაზანს ველარ ისვრის. ეხლა რუსები თოფის წამალს შიგ ციხეში ამზადებენ უწინდებურად, სალდათებსაც ნახევარ პორცია საჭმელს-ღა აძლევენო.

ამავ გაზეთის ლონდონელი კორესპონდენტი ჰფიქრობს, პორტ-არტური ოც დღეზე მეტს ველარ გასძლებს, რადგან ციხეში შიმშილობა დაიწყო კიდევაცაო. („ნ.“).

რესპუბლიკა ჩილის ფლოტი. გაზეთები უფრო და უფრო ბეჯითად სწერენ, რუსეთი და იაპონია ჩილის ფლოტის სყიდვას სცდილობენო. თუმცა ამ ცნობებს ყოველთვის ოფიციალურად უარ ჰყოფენ, მაგრამ მაინც საინტერესოა ვიცოდეთ, რა ფლოტი ჰყავს ჩილის და ღირს სყიდვათ თუ არა. ჩილის ფლოტში საუკეთესო გემებად ითვლება: ჯავშნიანი გემი „კაპიტან პრატ“, ჯავშნიანი კრეისერები: „ოხიგინს“ და „ესმერალდა“, პალუბა ჯავშნიანი კრეისერები: „მინისტრო ცენტენ“, „ბლინკო ენსკალადო“, „პრეზიდენტე ერაზურიც“ და „პრესიდენტე პინტო“, 3 სანაღმე კრეისერი, 5 კონტრ-ნაღმიანი გემი და 15 ნაღმიანი გემი. ჯავშნიანი გემი „კაპიტან პრატ“-ი 1890 წელსაა აშენებული და უფრო მეორე კლასის ჯავშნიან გემად ჩაითვლება, დანარჩენი კრეისერები და ნაღმიანი გემები ახალი, კარგად შეიარაღებული, სწრაფლ მავალი გემებია და არც ერთს სახელმწიფოს არ აწყენს ამ გემების ყიდვა. („რ. ლ.“).

საუბარი რუსის კაპიტანთან. მოსკოვში მანჯურიიდან მე-124 ვორონეჟის პოლკის კაპიტანი ფოკინი მოსულა. კაპიტანს უთქვამს „რუსკი ლისტოკ“-ის თანამშრომლისათვის, მანჯურიაში რამდენიმე წელიწადი გავატარე. ზოგიერთი ჰფიქრობს, ვითომ მანჯურიაში ზამთრის დროს სამხედრო მოქმედება შეწყდებაო, მაგრამ ეს შემცდარი აზრია. ნამდვილი ზამთარი მანჯურიაში მხოლოდ დეკემბერში დადგება ხოლმე და დიდი სიცივე როდი იცის. მართალია, იქმნება ჩრდილოეთის ცივმა ქარმა დროებით შერიგება ჩამოგვაგდებინოს, მაგრამ ეს ქარიც მხოლოდ დეკემბრის შუა რიცხვებში დაიწყებს ხოლმე ქროლას და თვე ნახევარზე მეტს არა ჰქრის. ეხლა მანჯურიაში სიცივე 4—5 გრადუს არ აღემატება. ქარი ჩვეულებრივ 3 დღეს ჰქრის ხოლმე და მერე 8—10 დღე წყნარი ნათელი ამინდი დგება; კარგი სადი ჰაერია და თბილად ჩაცმული სალდათები კარგად იტანენ ამ სიცივეს. რასაკვირველია, უნდა ეცადნენ, რომ ჯარს თბილად ეცვას. მართალია რუსის სალდათები კარგ გუნებაზე არიან მანჯურიაში, მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ამ ომის დროს ბევრ სალდათს აეშალა ნერვები. ოსმალეთისა და ჩინეთის ომის დროს რუსის ჯარს არც გაეგონა „შოკის“ სახელი,—„შოკი“ ნერვების ძლიერ ავადმყოფობას ჰქვიან. ეხლა კი ამ ავადმყოფობით სალდათებიც ხდებიან ავად. ვორონეჟის პოლკის მე-4 როტის სალდათს ასეთი ამბავი დაემართა... მთელი დღე ბრძოლაში გავატარეთ. სადილაოდ ახალ ბრძოლას ველოდით. ღამით ყველას ეძინა. ეს სალდათი უცებ წამოხტა და დაიყვირა: „როტის უფროსი იაპონელებმა მოიტაცეს; არიქა, ძმებო, უშველეთ!“—ჯერ როტის უფროსის კარავს ეცა, მერე შორს, მთისაკენ გაქანდა. ასტყდა ერთი ალიაქოთი. ყველანი წამოხტნენ, დარაჯები გაქცეულ სალდათს გამოუდგნენ და თოფის სროლა ასტეხეს. მერე ყველაფერი გამოირკვა. სნეული სალდათი დააბრუნეს, მაგრამ დიდხანს ვერ დააშვიდეს. ბოლოს საავადმყოფოში გაგზავნეს; მეორე დღეს გარდაიცვალა („რ. ს.“).

სასანიტარო საქმისა და სამკურნალო დახმარების მოწყობა იაპონიის არმიაში. ამერიკელმა უფროსმა სამხედრო ექიმმა სიმენმა 12 ოქტომბერს სან-ლუიში სამხედრო ექიმების საერთაშორისო კონგრესზე მოხსენება წაიკითხა სასანიტარო საქმისა და საექიმო დახმარების მოწყობაზე იაპონიის არმიაში. დოქტორმა სიმენმა ჯერ ამერიკულ გაზეთების აზრი გაიხსენა ამ საქმეზე. გაზ. „სინ“-ი სწერს: „სამხედრო ისტორიაში ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ რომელსამე სხვა ერს ასე რიგზე ესარგებლოს მეცნიერებით, როგორც ახლა იაპონია სარგებლობს; იაპონიამ ნამდვილი კავშირი შეჰკრა მეცნიერებასთანაო.“ გაზ. „კრონიკლ“-ი ამბობს: „მტკიცე იმედი გვაქვს, რომ ამერიკის მთავრობა იაპონიისაგან შეისწავლის სამხედრო საქმეს, ისე როგორც წინად იაპონელები სწავლობდნენ ჩვენგან და რომ ჩვენი ქვეყანა ამას იქით ისე მოუმზადებელი არას დროს აღარ დაიწყებს ომსა, როგორც 1898 წელს დაიწყოო.

დოქტორი სიმენი სამხედრო ექიმად იყო ესპანია-ამერიკის ომის დროს და ეხლა ამტკიცებს, რომ ამერიკის სამხედრო სამინისტროს მაში რიგზე არა ჰქონდა მოწყობილი სამკურნალო დახმარების საქმეო. ეხლა სიმენი ეს არის დაბრუნებულა შორეულ-აღმოსავლეთიდან, იქ სამკურნალო დახმარების საქმე შეუსწავლია იაპონიის არმიაში, ნიუჩუანის დაჭერას დასწრებია და ორი კვირა ხუნხუზებთან გაუტარებია. იაპონელებმა კარგად იცოდნენ, რომ ომის დროს სნეულება მეტს ზარალს აძლევს ჯარს, ვიდრე მტრის იარაღი, წინადვე თადარიგი დაიჭირეს და რიგზე მოემზადნენ დამღუპველ ავადმყოფობასა და სნეულებასთან საბრძოლველად. იაპონელ სარდლებს უთქვამთ სიმენისათვის: რუსეთს 2 მილიონ სალდათის გამოგზავნა შეუძლიან სამხედრო მოქმედების ასპარეზზე; ჩვენ ამდენის მოყვანა არ შეგვიძლიან, მაგრამ კარგად ვიცით, რომ ომის დროს ავადმყოფობისაგან ერთი ოთხად მეტი ხალხი იხოცება, ვიდრე ტყვიისა და ყუმბარისაგან. ამიტომ რუსებს თუ ჩვენზე მეტი ჯარი ეყოლებათ, მეტიც დაეხოცებათ ავადმყოფობისაგან. ჩვენ ყოველი ღონისძიება მივიღეთ, რომ რაც შეიძლება ნაკლები ზარალი მოგვივიდეს სნეულებისაგან; ჩვენი ჯარის-კაცი მხოლოდ ბრძოლის ველზე უნდა მოკვდეს. ამით ჩვენ რუსის ჯარის სიმრავლეს გავაცუდებთ. მართლაც, იაპონელები ძლიერ ბეჯითად მოქმედებენ და არაფერს არა ჰზოგვენ, რომ იმათ ჯარში სნეულება არ გაჩნდეს. დოქტორ სიმენს ტოკიოში სამხედრო საავადმყოფოები დაუთვალიერებია: 1-ლ ივლისამდე ტოკიოში ათასი დაჭრილი გაუგზავნიათ და ამათგან არც ერთი არ გარდაცვლილა. ეს ფაქტი საკმაოდ მჭევრმეტყველად ამტკიცებს, რა კარგადაა მოწყობილი სამკურნალო საქმე იაპონიის არმიაში. ექიმები ყველგან და ყოველთვის თან მისდევენ იაპონიის ჯარს: იაპონელი სამხედრო ექიმი ყველგან მყოფია. ექიმები მიკროსკოპით წყალსა და საჭმელს ჰსინჯავენ და ბინებს ათვალიერებენ. თუ სადმე წყალი ცუდი გამოდგა, მაშინვე ბძანებასა სცემენ, რომ სალდათებმა უდუღი წყალი არ დალიონ, და ყველანი ზედ მიწევნით ასრულებენ ამ ბრძანებას, რადგან იაპონიის ჯარში საკვირველი დისციპლინა ჰსუფევს. ექიმები ბანაკებში ლექციებს უკითხავენ სალდათებს, საჭირო საჰიგიენო ცნობებს ასწავლიან და უხსნიან, ავადმყოფობას როგორ მოერიდონ, როგორი საჭმელი ჭამონ, როგორი წყალი სვან და რანაირად იბანონ. ომის დაწყებამდე იაპონელებმა დიდძალი საკვები სურსათი და კონსერვი დაამზადეს ჯარისათვის და ამით მრავალ კუჭის ავადმყოფობას გადაარჩინეს. ბოლოს სიმენი აღტაცებით ლაპარაკობს იაპონიის სამხედრო საავადმყოფოების მოწყ[illegible] თა მოვლისა დ[illegible] იაპონელების წარ[illegible]; ნახევარ საუკუნის წინად იაპონიას ნახევრად-ბარბაროსულ ქვეყანად სთვლიდნენ ევროპაში, ეხლა-კი ამერიკაც ბევრს რასმე ისწავლის იაპონიისაგანო. („პ. ვ.“)

სამხედრო კორესპონდენტების მდგომარეობა. ერთ ცნობილ სამხედრო კორესპონდენტს დაწვრილებით უამბნია „გრაჟდანინ“-ის თანამშრომლისათვის, თუ რა გაჭირვებულ ყოფაში არიან სამხედრო კორესპონდენტები. კორესპონდენტს უთქვამს: პეტერბურგში ნება მოგვცეს, შეგიძლიანთ რუსის არმიის მთავარ-სადგომში წახვიდეთ და თუ საჭირო იქნება, წინა პოზიციებზედაცაო, მაგრამ ნამესტნიკმა ალექსეევმა რაღაც ეჭვი აიღო ჩვენზე და არ იცოდა, რა საბუთი ეპოვა, რომ უკან დავებრუნებინეთ. კორესპონდენტებს სწორედ ბურთივით გვისროდნენ აქეთ-იქით. ომი რომ დაიწყო, მაშინვე ვიცოდი, რომ რუსები სწორედ ასე მოიქცეოდნენ და კორესპონდენტებს თავიანთ სამხედრო მოქმედებაზე ხმას არ ამოაღებინებდნენ. ხარბინში გენ. ვოლკოვის შტაბის ოფიცრებმა წარბშეჰმუხნულებმა შემომძახეს: „კორესპონდენტები არ მოდიან ჩვენთან; ძალიან კარგადაც იქცევიან: ვინც მოვა, სულ ერთია გავნდევნით!“

— „განდევნით?—ვკითხე გულუბრყვილოდ,—მაშ მეც გამდევნით?

— ეჰ! თქვენა! თქვენი საქმე სულ სხვაა. თქვენ კეთილ-გონიერი კაცი ხართ. აკი დაგვპირდით კიდევაც, რომ ომზე არას დასწერთ. თქვენ სულ სხვა წერილებსა სწერთ. მაგრამ ყველა თქვენსავით ხომ არ მოიქცევა. ვინც დეპეშების გზავნას მოინდომებს, იმათ უსათუოდ განვდევნით

ლაპარაკის დროს მუდამ განდევნას ემუქრებოდნენ კორესპონდენტებს. სრული ექვსი კვირა ისე გავატარე მანჯურიაში, რომ რუსის შტაბი სასტიკად არ მომქცევია, მაგრამ ერთ მშვენიერ დილას გამომიცხადეს, თქვენ დეპეშებს უსათუოდ გენ. ვოლკოვმა უნდა მოაწეროს ხელიო. გენერალთან წაველ, თავის შტაბის უფროსთან გენ. გლინსკისთან გამგზავნა. იმან კიდევ მეტად კეთილ და სიმპატიურ პოდპოლკოვნიკ პოტაპოვთან გამისტუმრა. პოტაპოვმა სამს დეპეშას მოაწერა თუ არა ხელი, უცებ ნამესტნიკისაგან ბრძანება მოვიდა, რაც ევროპაში დეპეშა გაიგზავნება, ყველას კოპიო გამომიგზავნეთ და ყველას თითონ გენ. ვოლკოვმა მოაწეროს ხელი, სხვამ არავინაო

ამის თაობაზე გაზ. „ნოვოსტი“ შენიშნავს: გასაკვირველი აღარაა, რომ ზოგმა ფრანგმა კორესპონდენტმა, რაკი გაიგო, მანჯურიაში ასეთი წესებიაო, სამხედრო ასპარეზზე წასვლა ველარ გაბედა და... ვარშავაში გაჩერდა. გაზ. „ვარშავსკი დნევნიკ“-ი იუწყება: რამდენისამე თვის წინად ვარშავაში ერთი ფრანგი კორესპონდენტი ბ. ს. მოვიდა, აქ იფიქრა, რომ ისეთს კორესპონდენციებს, როგორსაც მუკდენიდან ჰგზავნიან, ვარშავიდანაც გავგზავნიო, და მანჯურიაში აღარ წავიდა. („ნ.“).

რუსის სანიტარის ნაამბობი. ამას წინად პეტერბურგში წითელ ჯვრის სანიტარი (დაჭრილების მომვლელი) სერგეი ასკრეპკინი მისულა პორტ-არტურიდან და შემდეგი უამბნია „რუს“-ის თანამშრომლისათვის: „ძლიერ [illegible]დ გავბედე და გენ. სტესელისაგან პორტ-არტურიდან წასვლის ნებართვა ავიღე. გაშლილ ზღვაში გავიდა [illegible] ჩვენი ჯონკა, იაპონიის ნაღმიანმა გემმა დაგვაყენა და ბუქსირზე გამოიბა. იაპონელებმა ხელით გვანიშნეს, ნურაფრისა ნუ გეშინიანთო. გაგვჩხრიკეს, ქაღალდები და წერილები ჩამოგვართვეს. ნაღმიანმა გემმა ორი დღე და ღამე გვატარა და სასებოში მიგვიყვანა, იქიდან დაუყოვნებლივ ნაგასაკში გაგვგზავნეს. იაპონელები მთელი ეს ხანი ზრდილობიანად და თავაზიანად გვექცეოდნენ. მერე გაგვანთავისუფლეს, ინგლისურ გემში ჩაგვსხეს და შანხაიში გაგვისტუმრეს. ინგლისელი მატროსები და მგზავრები სასაცილოდ გვიგდებდნენ, კარიკატურებს გვიჩვენებდნენ, და საჭმელს რიგზე არც კი გვაძლევდნენ. მაგრამ აქაც ერთმა იაპონელმა მსახურმა შეგვიბრალა და ჩუმად გვაძლევდა საჭმელს. სინგაპურიდან ადესამდე მშვიდობიანად მოვედით. ავად ვიყავ და შინ წასვლას ვეშურებოდი, მაგრამ ეკატერინოსლავამდე, სადაც ჩემი ოჯახობა ცხოვრობს, ბილეთის საყიდლად 60 კაპ. არ მეყო. როგორც იყო, რის წვალებით მუქთი ბილეთი ვიშოვე. ფული ძლიერ გამიჭირდა. ავადმყოფმა, დაგლეჯილის ტანისამოსით სახელმწიფო ბანკის განყოფილების მმართველს მივმართე და ვუთხარ, ხარბინის ბანკში 175 მან. მაქვს შეტანილი-მეთქი, ბანკის წიგნიც ვუჩვენე. პასუხად მითხრეს, ფულს ახალ წლამდე ვერ მიიღებ, რადგან ხარბინის ბანკს ქაღალდი უნდა მივსწეროთო. ვიტირე, პასპორტი, გენ. სტესელის ნება-რთვა და წითელ ჯვრის მოწმობა ვუჩვენე, შევეხვეწე, ცოტა რამ მაინც მომეცით-მეთქი, მაგრამ ჩემმა მეცადინეობამ ამაოდ ჩაიარა. („რ.“).

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ინგლისი. 4 ნოემბერს ლონდონში ოპოზიციის მეთაურმა კემპბელ ბანერმანმა სიტყვა წარმოსთქვა და დამსწრეთ გააცნო ლიბერალთა დასის პროგრამა. ორატორის აზრით, საზოგადოება თანდათან ლიბერალთა მხარეს გადადის: სხვათა შორის, ეს დამატებითი არჩევნების დროსაც გამოირკვა; ამიტომ შორს აღარ არის ის დრო, როდესაც სახელმწიფოს მართვა გამგეობის საქმე ლიბერალების ხელში გადავა. სალიბერალო მთავრობის პოლიტიკა დიდად განსხვავებული იქნება იმ პოლიტიკისაგან, რომელსაც ეხლანდელი სამინისტრო ადგია. კონსერვატორთა მთავრობა მეცადინეობდა კლასობრივ კანონმდებლობისათვის. ამასთან იგი ამცირებდა საზოგადოებრივ ავტორიტეტს და საარჩევნო დაწესებულებებს. სულ სხვა თვალით უყურებს საქმეს სალიბერალო დასი. იმის აზრით, სამხრეთი აფრიკა, სადაც დღეს ჩინელ მუშებს ამკვიდრებენ, განვითარდება და წინ წავა მხოლოდ მაშინ, როდესაც ახალ კოლონიაში სრული თვით-მმართველობა იქნება შემოღებული. სალიბერალო დასი პროტექციონიზმის წინაამდეგია, რადგან იგი ახალ კლასობრივ პრივილეგიებს შექმნის. ლიბერალები ნებას არ მისცემენ,—სთქვა შემდეგ ბ. ბანერმანმა,—ინგლისის ფინანსების საქმე განაგონ მილიონერებმა, ხოლო მდიდარმა მემამულეებმა კანტროლი გაუწიონ ხალხის კვების საქმესო. სალიბერალო დასი განდევნის სკოლიდან სექტანტობას, საზოგადოებრივ კანტროლს დაუმორჩილებს

ფელეტონი

პატარა ამბები

მე და ჩვენი გაზეთის გარეშე საქმეთა მინისტრი.—შინაურ საქმეთა ინტერესი.— ჩვენი ცხოვრების უმშვენიერესი მარგალიტი.—ომის ნიმუშები.—ბათუმელი გმირი და ჩვენ.

როგორც კი შევდი რედაქციაში, მაშინვე საყვედურით მივმართე ყოველთვის ჩვენი გაზეთის ერთ თანამშრომელს, რომელიც განაგებს „ომის ამბებს“: რა დაგემართა, კაცო! როგორ გაჩუმდი, არაფერს საინტერესოს არ გვატყობინებ ამდენი ხანია, თოფი და წამალი ხომ არ შემოგელია?.. რა მოუვიდა შენს სარდლებს, თითქოს დამუნჯდნენ და ხმას არ იღებენ! ამდენი ხალხი მათ შეგვჩერებივართ გულის ფანცქალით და ისინი კი...

— განა მე კი არ მინდა? მწარე ღიმილით მეტყვის ხოლმე ჩვენი გარეშე საქმეთა მინისტრი: განა მე კი არ მომბეზრდა ძველი ამბების განმეორება? მაგრამ რას იზამ!.. როგორც ხედავ, ომი ისე ადვილი საქმეც არ ყოფილა. ქართველებს ხომ ყველაფერი გვეადვილება სათქმელად, მაგრამ საქმეზედ რომ მიდგება, მაშინ თითის განძრევაც კი გვეძნელება. აქ, ამ ჩვენს ოთახში გაზეთებით მოფენილ სტოლის გარშემო ყველაფერს ადვილად გადავწყვეტთ, ერთ დღეს ციხესაც ავიღებთ, ცხრა მთას გადავალთ, ათს ქალაქს დავიპყრობთ, ათას სამხედრო გემს გავანადგურებთ და ხუთასი ათას მტერს დავატყვევებთ. დაგვიწყდა ჩვენი სერგეი სიმონიჩი, რომელსაც მაკაროვი და ტოგო ბავშვებად მიაჩნდა და ტრაბახობდა: მე რომ მათ ალაგას ვიყო, ასე ვიზამ და ისე ვიზამო!.. არა, ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი. მეტეს სიფხიზლით და სერიოზულად შევხედოთ საქმეს. ისტორია იოლად არ კეთდება და რასაც კაცობრიობა იგონებს და აფასებს, ის მეტად მწარე ცრემლებითა, სისხლითა და აუტანელის შრომით არის მოპოვებული. შორეულ აღმოსავლეთის ომი რომ ასე მალე გასათავებელი იყოს, მაშინ არც იმდენი ინტერესი და ღირსება ექმნებოდა. საბერძნეთისა და ოსმალეთის უკანასკნელი ომი ოთხ კვირამდის ძლივს გაგრძელდა. მაგრამ ამ ომს რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვინ უყურებდა მას სერიოზულად! ისე მალე დაივიწყა იგი ყველამ, როგორც მალე გათავდა. ადვილად და მალე მხოლოდ ზღაპარში ჰკეთდება საქმე. რუსეთისა და იაპონიის ბრძოლა კი ზღაპარი არ არის, იგი მეტად ნამდვილი და ცხადი მოვლენაა, და ისე დიადი და მსოფლიო მნიშვნელობის, ისე ღრმად დააჩნევს კვალს კაცობრიობის ისტორიას, რომ მისი მოთხრობაც კი არ იქმნება ისე ადვილი საქმე, როგორც ეს ქართველებს გვგონია. მამაგრამ კიდევ გეტყვი: ქართველებს ხომ მუდამ სულ გვგონია და გვგონია მარტო! ჩვენ ხომ სულ სიზმარსა და ზღაპარში ვცხოვრობთ!.

სრულიად სამართლიანად მიმაჩნია ჩემი ამხანაგის სიტყვები. არ შემიძლია არ დავეთანხმო, მაგრამ მაინც ისევ ჩემსას განვიმეორებ, როგორც კი ხელახლა ფეხს შევდგამ რედაქციაში და მივესალმები გაზეთის თანამშრომლებს. ხანდახან კიდევაც გავამწარებ და გულს მოვაყვანინებ „ომის ამბების“ ავტორს. რატომ?..

იმიტომ, რომ მეც დიდად ვაფასებ დღევანდელს ომს, რადაც დიდებულს სურათს ვხედავ ომის იქით, ვგრძნობ, რომ იგი ღრმა ცვლილებას შემოიტანს ცხოვრებაში, თვალ-წინ მიდგია შესანიშნავი ისტორიული ხანა,—და ამიტომაც ასე მოუთმენლად, სულწასული მოველოდები მის დასასრულს. ბარემ განვლოთ ეს მწარე დღენი რომ გველირსოს უკეთესი დღეები! ბა, ამ მოლოდინის გამო სძგერს გული აჩქარებულად და არაფრად აგდებს იმ იარებს, ჭრილობებს, სისხლს, უსულო გვამებს, საშინელ კვნესას, წამებას, ტანჯვას, რომელიც აღავსებს ბრძოლის ველს, რომელიც შორიდან სურათია მხოლოდ და იქ კი კვნესაა, კვნესა ჩვენისთანა ცოცხალ ადამიანისა!..

სანუგეშებელი ისაა, რომ დღევანდელი ომი არის ბრძოლა თვითონ ომის წინააღმდეგ, რომ დღევანდელი ომი გვახლოვებს ერთა ძმობას, სოლიდარობას და მშვიდობიანობას...

* *

თუ დროებით ბრძოლის ველზე არაფერი ცვლილება არ ხდება, ომის ამბებს ინტერესი რა აქვს დროებით, სამაგიეროდ ამ ომის შემწეობით მეტი ინტერესი მიეცა შინაურს, მშვიდობიანობის საქმეებს. ამ ჟამად პეტერბურგისაკენ უფრო ვიცქირებით ყველანი, ვიდრე შორეულ აღმოსავლეთისაკენ.

მაგრამ „სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო“ ამ საგანზე ლაპარაკს არ დავიწყებ დღეს. საინტერესოა, მართალია, მეტად საინტერესოა. ინტერესი გაიზრდება, გაფართოვდება, გაძლიერდება და ჩემთვისაც უფრო სასიამოვნოა, ვილაპარაკო საგანზე, როდესაც იგი უფრო საინტერესო იქნება. ვიცი, ზოგიერთი მოუსვენარი მკითხველი მისაყვედურებს: როგორ შეიძლება ამ საინტერესო საგანზე გაჩუმება, უნდა ილაპარაკოთ კი არა, კიდეც უნდა იყვიროთ ძალიანაო!—მეორე, ფიცხი გულის მკითხველი ცილსაც დამწამებს: კომპრომისის მომხრე ხართ, ორს სკამზე ზიხართ, ბურჟუა ხართ, ფეოდალი, კლერიკალი, აბსოლუტისტი, და სხვა და სხვა, ამიტომ რადაც მიზეზებს იგონებთ და ხმას არ იღებთო!—იქნებიან ისეთებიც, რომლებიც ამასაც არ იკმარებენ და გასალახავადაც არ დამზოგავენ, თუ ხელში ჩავუვარდი. მაგრამ დღევანდელს ფელეტონისტს ისღა დარჩენია გულის დასამშვიდებლად, რომ ოდესმე დადგება დღე განსჯისა და მაშინ წარსდგება მკითხველის წინ უწერტილებოდ, უმიზეზებოდ, უფრჩხილებოდ, ისეთი, როგორიც არის ნამდვილად, მისი გული გადაშლილი იქნება მაშინ ყველას წინაშე და ყველა დაინახავს მთლად იარებად გადაქცეულს გულს, რომელიც იმდენად უფრო ძლიერად ფეთქდა და იტანჯებოდა, რამდენად უფრო სდუმდა და არ რას ამბობდა ენა!...

მართალია მკითხველი, რომელიც გაჩუმებას მისაყვედურებს, მართალია, რომელიც კომპრომისობას და მშიშარობას დამწამებს, მართალია ისიც, რომელსაც გასალახავად ვემეტები. მე მესმის მისი გულის წყრომა, როდესაც მას სწყურია მართალი, ადამიანური სიტყვა, ცოცხალი მეტყველი ენა და მის მაგიერ-კი ფელეტონისტი მააგებებს წინ რადაც უაზრო მკვდარს წერტილებს!..

განა ეს წყრომის ღირსი არ არის და მერე როგორის წყრომის! მაშ რისთვის მოუნიჭებია ბუნებას ენა და სიტყვა?!. ეს მესამე წელიწადია ყოველ კვირაობით ფელეტონს ვწერ, ხანდახან კვირაში ორ-ორს ფელეტონსაც,—და უნდა აღვიარო გულახდილად, რომ რაც დამიწერია და მითქვამს, დამიწერია და მითქვამს იმიტომ კი არა, რომ დამეწერა და მეთქვა სათქმელი და დასაწერი, არამედ ვწერდი და ვამბობდი იმას, რაც არ მინდოდა, მეთქვა და დამეწერა. დასაწერი და სათქმელი-კი რჩებოდა დაუწერელი და უთქმელი ჩემს გულში დამარხული და იშვიათი მკითხველი თუ მიხვდებოდა, რომ დაბეჭდილ სტრიქონებს შორის განისვენებდა დამონებული ადამიანის სული!

როდის-და გაჰქრება ყველაფერი და მხოლოდ მოგონებად დარჩება?!..

* *

....ერთს წინანდელ ფელეტონში უკვე მქონდა მოყვანილი სიღნაღიდან მოწერილი ამბავი იმის შესახებ, თუ რა გმირობას სჩადიან იქაური „გორიდოვოები“, გამვლელ-გამომვლელებს მათხოვრებივით ხელში შესცქერიან...

ამგვარს ამბავს იწერებიან შუა ქართლიდანაც: ქართველი გლეხი ძლიერ გულგატეხილია, თავი ვერ დაუღწევიათ მრავალ გარდასახადებისაგან; დღე და ღამე სოფლის ჯამის ნადირები (ვინ?) საბრალო გლეხობას მოსვენებას არ აძლევენ: არბევენ ოჯახს, უვლიან მეათედ ფუსად საქონელს (ასეც მოხდა, რომ ერთს სოფელში ერთი ხარი ორ მანეთად გაჰყიდეს), სტაცებენ ავეჯეულობას და ამასთანავე მამაკაცს, თუ დედაკაცს უწყალოდ სცემენ, გაალმასებული გლეხი თუ რამეს იხმარებს მისა გერებლად ან შესამსუბუქებლად, მაშინვე „პოსუდში“ აძლევენ და „კანცერში“ გდებით მშიერ-მწყურვალს სულს აძრობენ. ერთი ასეთი შემთხვევაც მომხდარა, რომ შიმშილისაგან შეწუხებულს სამოცდა-ათის წლის მოხუცს დანით ყელი გამოუღადრია...

ამას წინად ტფილისის სასამართლო პალატამ განიხილა საქმე განთქმულ გრიგოლ ჩიქოვანისა, რომელიც ტფილისის პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაულის საიდუმლო აგენტი იყო... ჩიქოვანს ქურდობა ჰბრალდებოდა, სასამართლომ დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა ზოგიერთი უფლებათა ჩამორთმევა და საპყრობილეში დაპატიმრება...

ამგვარი ამბები ჩვეულებრივი მოვლენებია ჩვენს ბედნიერს სამშობლოში. ჩვენთვის პოლიციელთა გარდა ხომ არავინ არსებობს, ისინი არიან ჩვენი ერთად-ერთი მბრძანებლები და გამგებელნი. ისინი არიან ჩვენი განმასამართლებელნი, მათთან უნდა ვეძიოთ სამართალი (უსამართლობა!), რადგან სასამართლოს კარები ჩვენთვის დახშულია, მაგრამ ჯერ არ დაბადებულა ისეთი ბედნიერი, რომ სამართალი მოეპოვებინოს იმათგან! ამ გარემოებამ ლინჩის კანონის შემოღებაც კი გამოიწვია ჩვენში. ამ ბოლო დროს კახეთში, რაკი ვერაფერი მოუხერხეს ქურდებს, მცხოვრებლებმა თვითონ იკისრეს მსაჯულობა და ასამართლებენ ქურდებს...

ეს მეტად იშვიათი მოვლენაა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ადვილი გასაგებია: გაჭირვებული ხალხი თვითონვე დაუწყებს თავის თავს პატრონობას,

მაგარ სასმელების გაჭრობას, ხელს შეუწყობ წვრილ სასოფლო მესაკუთრეობას და ეძლება, რომ დარიბმა კლასებმაც შესძლონ პარლამენტში თავიანთ წარმომადგენლების გზავნა. დღეს პარლამენტი მხოლოდ მდიდრებისთვის არსებობს. („რ. ვ.").

იტალია. ამ ორიოდე დღის წინად რომში დიდი მიტინგი გაიმართა ავსტრიელ გერმანელების წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. მიზეზი მიტინგისა ინსბრუკში მომხდარი ამბები იყო. როგორც იციან მკითხველებმა, ინსბრუკში გერმანელებმა სცემეს იტალიელ სტუდენტებს და გაანადგურეს იტალიელთათვის დაარსებული ფაკულტეტი. რომის მიტინგი პროფ. სიგელეს სიტყვით დაიწყო. მერე ილაპარაკა დეპუტატმა ბარცილაიმ, რომელმაც ინსბრუკში მომხდარ ამბებს „ბართლომეს ღამე" უწოდა. სთქვეს სიტყვები აგრეთვე დეპუტატებმა ვეკინიმ, სონნინომ და მაცეამ. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც, სხვათა შორის, გაჰკიცხა „ტიროლელთა ველურობა". („რ. ვ.").

ოსმალეთი. დასავლეთ ევროპის პრესსა ბევრს სწერს თურმე ოსმალეთის შეიარაღების შესახებ. ამ ბოლო დროს ოსმალეთს შეუკვეთნია 125 ბატარეა, ესე იგი 500 ზარბაზანი. ამას გარდა უკვე მზადაა ორი ახალი კრეისერი „მეჯიდიე" და „ჰამიდიე". ახლა ხან ოსმალოთ მთავრობას სხვა გემებიც შეუკვეთნია იტალიის ნავთსაშენებელთათვის. ბევრს ლაპარაკობენ ამ ბოლო დროს ოსმალოთ ფლოტზედაც. ამბობენ, ეს ფლოტი ოქროს რქას გაივლის, შავ ზღვაში შევა და შავი ზღვის ნავთსადგურებს მოივლისო.

საფრანგეთი. ამ ორი კვირის წინად პარიზში მოლაპარაკება ჰქონდა სოციალისტთა ორ ჯგუფს—გედისტებსა და ზომიერ სოციალისტებს. უნდოდათ შეთანხმებულიყვნენ და სოციალისტთა დასის უწინდელი ერთობა აღედგინათ. შეთანხმება და შერიგება ვერ მოხერხდა, რადგან ჟიულ გედმა ისეთი მოთხოვნილებანი წარადგინა, რის ასრულებაც შეუძლებლად სცნეს ზომიერმა სოციალისტებმა. („რუსკ. ვედ.").

ახალი ამბავი

◆ ამას წინად საზღვარ-გარედ ხმა გავრცელდა, ვითომ რუსის მთავრობას აეკრძალოს რუსეთიდან საზღვარ-გარედ შავი-ქვის გატანა. როგორც ნამდვილად გავიგეთ, ეს ამბავი სიმართლეს მოკლებულია.

◆ წარსულ კვირის განმავლობაში „წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობამ მიიღო **[illegible] თანხის** სასარგებლოდ: იაკობ გოგებაშვილისაგან—100 მან., ვასილ გამრეკელისაგან 100 მან., თამარ ტურიაშვილისაგან 5 მან., იოველ ნატროშვილისაგან 25 მან., ალექსი კიკნაძისაგან 25 მან., ეკატერინე გაბაშვილისაგან 10 მან., ს. ხ. თურქიასაგან 10 მანეთი, სულ 275 მანეთი.

◆ კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიას პეტერბურგიდან ეცნობა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო დეპარტამენტმა ტფილისის გუბერნია საშიშოდ იცნო **ხოლერის მხრივათ.**

◆ 11 ნოემბერს რკინის გზის სასანიტარო კომისია ბაქოსკენ გაემართა სადგურების და სხვა-და-სხვა შენობების დასათვალიერებლად და **ხოლერის გაჩენის გამო** საჭირო ზომების მისაღებად.

◆ 10 ოქტომბერს ბაქოში **ხოლერით** ავად **გახდა** რვა კაცი, მოკვდა ოთხი.

[illegible] სამხედრო ბე[illegible]ია და ახალციხე-ახალქალაქის [illegible] ოთხმოცამდე საჩივარი მიიღო ახლად **კენჭ ნარგებ ყმაწვილ-კაცთაგან,** რომელნიც სამაზრო სამხედრო ბევრის ექიმების კმაყოფილნი არ არიან და ტფილისში ჩამოსულან შესამოწმებლად. საგუბერნიო საკრებულოს ექიმები ამ 80 ყმაწვილს **სამშაბათს, 16 ნოემბერს გასინჯავენ.**

◆ ერთ სარატოველ მემამულეს მულინის ველში შეუძენია 1000 დესეტინა ადგილი **ბამბის გასაშენებლად.** ამ ველში, სადაც ჯერ-ჯერობით ხალხი არა სცხოვრობს, წინად დესეტინა ღირდა 8 მანეთად. მას შემდეგ, რაც სარწყავ წლის გაყვანას შეუდგნენ, ფასმა აიწია და ეხლა დესეტინა 45 მანეთად ღირს.

◆ ოზურგეთის მაზრის სოფელ **ხიდისთავში მოჰკლეს** გერასიმე ლომაძე. ამას წინად აქეთში მოჰკლეს იმისი ძმა სოფლის მწერალი.

◆ 12 ოქტომბერს ლანჩხუთსა და ჯუმათის სადგურებს შუა ვიღაც **ბოროტ-განმზრახველნი თავს დაეცნენ გზის დარაჯების სადგომებს.** ამ რაინდებმა გაძარცვეს ოთხი დარაჯი. პოლიციამ ექვსი კაცი შეიპყრო და ოზურგეთის საპყრობილეში ჩასვა.

◆ **წინამძღვარიან-კარის სამეურნეო სკოლის** დამაარსებელს ბ-ნ ილია წინამძღვარიშვილს, როგორც გავიგეთ, განუზრახავს ამ სკოლის ოთხ-კლასიან სამეურნეო სკოლად გადაკეთება.

◆ კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობამ წინადადება მისცა ტფილისის თვითმმართველობას, გამოარკვიოს საზღვრები ტფილისის **ცხელის წყლების** მომდინარეობისა. ამ საზღვრებს შორის აღარავის მიეცემა ისეთ სამუშაოს დაწყების ნება, რომელიც რაიმე ვნებას მოუტანს აბანოებს. ეს მოწერილობა გადაეცა საბალნეოლოგიო სადგურის ამშენებელ კომისიას.

◆ **გუბერნატორმა აცნობა** ტფილისის ქალაქის მოურავს: გამგეობა დროზედ არ უდგენს ხოლმე საგუბერნიო მთავრობას საბჭოს დადგენილებებს. მაგალითად, ბოლო თვის დადგენილება გამგეობამ გამომიგზავნა ერთის თვის შემდეგაო. გუბერნატორი ავალებს გამგეობას, საბჭოს დადგენილებანი გაჰგზავნოს ხოლმე არა უგვიანეს ორის კვირისა საბჭოს კრების დღიდან.

◆ დღეს, ნაშუადღევის პირველ საათზე, „დიდების ტაძარში" გაიხსნება **სურათებისა და ქანდაკების გამოფენა.** გამოფენას მართავს კავკასიის მხატვრობის მფარველი საზოგადოება.

◆ როგორც ტფილისის ქალაქის გამგეობის ცნობებიდანა სჩანს, ტფილისში **დასახლებულ ადგილების სივრცე უდრის 2589** დესეტინასა და **1376 ოთხ-კუთხ საჟენს.** ქალაქში სულ **1120** ქუჩა და **23** მოედანია. ქუჩები სიგრძით **145** ვერსტია; აქედან **56** ვერსტი მოკირწყლულია, 75 ვერსტი ქვიშ ამოყრილი, ხოლო დანარჩენი—მოუკირწლავ-მოუყრელია. საცხოვრებელი სახლი 16,827-ია.

◆ საქართველოს საეპარქიო **სამრევლო-საეკლესიო სკოლების** საბჭომ წინადადება მისცა სიღნაღის ბლაღოჩინს დაარსოს სიღნაღში ერთ-კლასიანი სამრევლო სასწავლებელი და მასთან საკვირაო სკოლა მოზრდილთათვის.

◆ როგორც ვწერდით, ტფილისის ქალაქის საბჭომ 30,000 მანეთი გადასდო შუაგულ **ქუჩებში 250 დიდის ფარნის** დასადგმელად. 12 ნოემბერს გამგეობამ აარჩია კომისია და დაავალა, გამოარკვიოს, სად უნდა დაიდგას ეს ფარნები.

◆ ტფილისის ქალაქის თვითმმართველობა წელიწადში 130,000 მანეთსა ხარჯავს **ქალაქის ექიმებისა** სამკურნალოებისა და სასანიტარო ნაწილის სხვა დაწესებულებათა და მოხელეთა შესანახად. ამას გარდა ქალაქი 7000 მანეთს იხდის იმ ექიმების ჯამაგირებისათვის, რომელნიც მთავრობის მიერ არიან დანიშნულნი, 3000 მ. და იმ ექიმების პენსიისათვის, რომელთაც სამსახურის ვადა გასთავებიათ. საბჭოს დადგენილების თანახმად, ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა, განთავისუფლებულ იქმნას მთავრობის მიერ დანიშნულ ექიმების ჯამაგირებისა და პენსიებისაგან, რადგანაც ქალაქი სამკურნალო საქმეზედ ბევრ ფულსა ჰხარჯავს და მთავრობის ექიმების მაგიერობას ქალაქის ექიმები სწევენ.

◆ გამოვიდა ახალი სომხური წიგნაკი: „მთვარიან ღამეში", ესკიზი ია ეკალაძისა, ქართულიდან გადათარგმნილი.

◆ ორთაჭალის მებაღეებმა საერთო თხოვნა გადასცეს ქალაქის გამგეობას. თხოულობენ ქალაქმა ფარნები დადგას ორთაჭალაში. ქალაქის გამგეობამ გამოარკვია, რომ ორთაჭალისთვის საჭიროა 20 ფარანი, ამიტომ 12 ნოემბერს დაადგინა, ყოველ წლობით გადასდოს 476 მან.

◆ პოლიციის პირველ ნაწილში სლეპცოვის ქუჩაზე, ლევიცკის სახლში მცხოვრებ ნიკოლოზ სამარკინისათვის ვიღაც ქურდებს მოუპარავთ 45 მანეთის ნივთები. ქურდები, ტფილის მოქალაქენი მიხეილ ოსიპოვი, ივანე შახოვი და სერგო სარქისოვი დააპატიმრეს.

◆ როგორც ახალციხიდან გვატყობინებენ, ადგილობრივ მოქალაქის დავით ვანციანცის შვილი 5 ოქტომბერს უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ამ დღეებში უპოვნიათ იმისი გახრწნილი გვამი ახალციხის მოშორებით სომეხ-გრიგორიანთა სასაფლაოზე.

◆ როგორც გუშინ ვწერდით, ერთმა კაცმა ვანქის ტაძრის ეზოში დანით დასჭრა თავისი ცოლი. ეს კაცი გიორგი ხუციევი ყოფილა, ახალქალაქის მაზრის მცხოვრები. ხუციევს თავისი ცოლი მარიამი ისე ძლიერ დაუჭრია, რომ ექიმების აზრით იმისი მორჩენა საეჭვოა. გიორგი სადღაც გადაიმალა. მიზეზი ბოროტ-მოქმედებისა ვერ გავიგეთ.

◆ ყაბალოში (სიღნაღის მაზრა) 5 ნოემბერს ლეკები თავს დაეცნენ სოფ. ჯუგაანის მცხოვრებს ვანო ჩიტაშვილს, როდესაც იგი ლაგოდეხში თავის თამბაქოს პლანტაციების სანახავად მიდიოდა ნიკოლა და ქარუმა ქვრივიშვილებთან ერთად. გარდა იმისა, რომ ჩიტაშვილს თოფი ესროლეს, წაართვეს ვერცხლის ქამარი, ღირებული 47 მანეთად, და ქისა 480 მ. და 50 კაპეიკით.

◆ ქალადიდი, თავ. ვლადიმერ ქოჩაქიძის სახლის ახლო, შვიდი შეიარაღებული ავაზაკი შეუვარდა სახლში ქალადიდის მამასახლისის თანაშემწეს ჰოჰუას და წაართვეს რევოლვერი და სხვა თუ რამ გააჩნდა. ამასთან ავაზაკებმა უთხრეს თურმე ჰოჰუას, მამასახლისმა და თქვენც ჩვენს ძებნაზე ხელი აიღეთ, თორემ შავ დღეს დაგაყენებთო. მამასახლისი შეუდგა ავაზაკების ძებნას, მაგრამ ვერა გაიგორა.

◆ ყულევი, სიჭვავს ქვრივს შუადღეზე მიუხტა მგელი და ღორი მოსტაცა. ღორიანათ გაქცეულ მგელს გამოეკიდა ქვრივი დედაკაცი, დაეწია, გამწარებულმა ქალმა სტაცა უკანა ფეხში ხელი და მგელი დაიჭირა. მგელმა ღორს ხელი გაუშვა და ქალს მოუბრუნდა, მაგრამ ქალმა სამაგალითო ყოჩაღობა გამოიჩინა: უშიშრად იგერიებდა მგელს და თანაც უკანა ფეხებზე ხელს არ უშვებდა. ამ გაჭამაჭიაში იყვნენ, რომ ხალხი შემოეხვია და ცოცხალი მგელი კი დაიჭირეს.

◆ სოფელ ხორგაში, ღამის ათ საათზე უბედურ შემთხვევით მოჰკლეს გიორგი ცხაკაია. ცხაკაია მდინარე ხობის წყალზე ნავით თურმე მიდიოდა, ამ დროს შეხვდომია ბოქაული პოლიციის დარაჯებით და, სჩანს, ავაზაკი ჰგონებიათ და მოუკლავთ დარაჯებს. მეორე დღეს გამოირკვა, რომ უდანაშაულო კაცი მოჰკლეს, მაგრამ რაღა დროს.

—

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ დაურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 270.** შინაარსი: „ლოტბარი და მაწანწალა", კომედია ერთ მოქმედებად გრიგოლ გესი, თარგ. ვ. შალიკაშვილის მიერ; სურათები: „ომში წამსვლელნი",—სურათი სავიცკისა, „ომის ამბები",—სურათი ვასნეცოვისა, თავ. გიორგი დავითის ძე ამილახვარი, შახესთან დაჭრილი, „გადასახადისათვის მოვიდა",—სურ. ორლოვისა და ორი კარიკატურა.

პრესსა

გრაჟდანინს მოჰყავს ერთი საოცარი მაგალითი, რომელიც ჰმოწმობს პეტერბურგის დეპარტამენტში არსებულ წესებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთმა ერობამ შუამდგომლობა გაუგზავნა და ქაღალდი დეპარტამენტმა გააჩერა, რადგან მოხელეებმა ვერ გაბედეს მინისტრისათვის გადაეცათ მარტივისა და დინჯის კილოთი დაწერილი ქაღალდი. მოხელეები მოწიწებით კილოს იყვნენ შეჩვეულნი: ეს ქაღალდი დიდ კადნიერებად მიიჩნიეს და 1½ წელიწადი გააჩერეს. ბოლოს ერობას მოთმინება დაეკარგა და პირდაპირ მინისტრს მიმართა. საქმე გამოიძიეს და, როგორც იქნა, პასუხი ეღირსა ერობას.

⁂

„რუს"-ს სამართლიან უკვირს ერთი გარემოება: ჩერნიშევსკის ცნობილ რომანის „Что дѣлать"-ის აკრძალვა. თითქმის ნახევარმა საუკუნემ განვლო მას აქეთ, რაც ეს რომანი აკრძალულია. დიდი ხანია, რაც საქმის ვითარება ისე გამოიცვალა რუსეთში, რომ ამ რომანს წინანდელი „საშიშარი" ხასიათი აღარ აქვს, ვერავის ვერ გაიტაცებს, მოძრაობას ვერ შეჰქმნის. ამის მიუხედავად-კი ეს რომანი დღემდის აკრძალულია. გაზეთის აზრით, მიზეზი ინერცია, უძრაობაა, ერთხელ გაცემულ განკარგულების სამუდამოდ გაქვავება. დრო და ჟამი ისეთ ქვითკირად გადააქცევს ხოლმე ძველად გაცემულ ბრძანებას, რომ იმის დანგრევა-განადგურება თვით მბრძანებელთაც არ ძალუძთო.

⁂

„სუდ. ობოზრ." მსჯელობს რუსეთში ეგრედ წოდებულ „სკოპცების",—საჭურისების—მდგომარეობის შესახებ, არჩევს მათ მოძღვრებას და სამართლიან აზრს გამოსთქვამს, რომ ამ მოძღვრების მიმდევართა დასჯა—სულით ავადმყოფთა დასჯას ნიშნავს. რუსეთის კანონი-კი სასტიკად სჯის „სკოპცებს". ამ სენთან ბრძოლა—მხოლოდ განათლების საშუალებით შეიძლება და არა მექანიკურ-გარეგნულის დევნა-სასჯელით, რაიცა უფრო განამტკიცებს ამ მოძღვრებას, უფრო მჭიდრო კავშირს ჰქნის დევნილთა შორის. სკოპცებმა გადაამახინჯეს სახარებაში გამოთქმული ჭეშმარიტება, ფანატიკოსურად აღიარეს ეს თავისი უცილო რწმენა, რომელიც ერთგვარი შეშლილობაა და ამ საცოდავ ხალხს სულით ავადმყოფობისათვის სდევნიან და სასტიკად სჯიანო.

⁂

„რუს"-ში მოყვანილია ერთი გაზეთის რედაქტორის საგულისხმიერო ჩივილი, რომელიც ნათლად ამტკიცებს, თუ როგორ რყვნის ადამიანს შეჩვეული მშიშარა, ყმური ენა. შინაგან საქმეთა მინისტრის ცნობილ სიტყვის შემდეგ რუსეთის გაზეთებს ცოტაოდნად სიცოცხლე დაეტყო, თითქო რაღაც იმედი აღეძრათ. ამ გაზეთის რედაქტორმაც ისურვა უფრო თავისუფლად წერა, აზრის პირდაპირ გამოთქმა, მაგრამ ვერ შესძლო, დიდძალი ქაღალდი გააფუჭა. ბევრჯელ გადაიკითხა თავისი ნაწერი და დარწმუნდა, რამდენად საძნელო იყო მისთვის ძველ ნატკეპნ გზის გარეშე სიარული: ერთხელვე გამრუდებული თვალთა ხედვის ისარი, მსჯელობის მანქანა ძნელად თუ გასწორდება და მონობაში აღზრდილი კაცი ადვილად ვერ ეჩვევა მცირეოდენ თავისუფლებასაო,—ამბობს გაზ. „რუს"-ი.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

10 ნოემბერი

ამ დღეს საბჭოს კრებაზედ ქალაქის გამგეობის დარბაზში დიდ საზოგადოებას მოეყარა თავი: 32 კაცი მარტო ხმოსანი დაესწრო, რაც იშვიათი მოვლენაა ქუთაისის საბჭოს კრებების ისტორიაში. წინ-და-წინვე შეატყობდით, რომ ამ საღამოს კენჭების რახა-რუხი იქმნებოდა, და, მართლაც, საბჭოს ასარჩევი ჰყავდა გამგეობის ერთი წევრი, ნაცვლად გრ. ი. გველესიანისა. არჩევნებამდის საბჭო შეუდგა სხვა საქმეების განხილვას. ბ-ნს ლალიძეს საბჭოს დადგენილებით ნება ჰქონდა მიცემული რამდენსამე ქუჩაზედ ელექტრონით გაენათებინა კერძო სახლები და დაწესებულებანი, იმ პირობით-კი, თუ ქალაქი თვითონ იკისრებდა ქუჩების ელექტრონით განათებას, ან ვისმე სხვას მისცემდა კონცესიას, იმას მაშინვე ხელი აეღო განათებაზე და ქუჩები განეთავისუფლებინა ბოძებისაგან. ამასთანავე ბ-ნი ლალიძე ვალდებული იყო უფასოდ დაედგა ქალაქისათვის ოთხი ელექტრონის ფარანი, თითო 1000 სანთლის ძალით. ბ-ნი ლალიძე პროექტის წარმოდგენამდის და პირობის დაწერამდის შესდგომია საქმეს და თითქმის კიდეც გაუთავებია, და ამ ჟამად ის ანათებს სახლებს არამც თუ ნებადართულს ქუჩებზედ, ორი სხვა ქუჩაც თან მიუყოლებია; ქალაქისათვისაც სიტყვიერ პირობის თანახმად, დაუდგამს ოთხი ფარანი. ხმოსნის გ. ე. ფონ-შულცის განცხადების გამო საამშენებლო კომისიას დაუდგენია: თუ ბ-ნი ლალიძე არ განათავისუფლებს იმ ორს ქუჩას, რომელიც მან თავის ნებით მოუქცევია ელექტრონით გასანათებელს რაიონში, მოეთხოვოს უფასოდ დაუდგას ქალაქს კიდევ ორი ფარანი; გარდა ამისა, მოეთხოვოს, რომ ელექტრონის ფარნები ინთებოდეს ქუჩებზედ იმ დროს, რა დროსაც ნავთის ფარნებს ანთებენ, და ქრებოდეს ნაშუაღამევის პირველ საათზე; ამასთანავე მოეთხოვოს გირაოდ 100 მანეთი, რომლისაგანაც პირობის დარღვევისათვის თითოეულჯერ გამოექვითოს ხუთ-ხუთი მანეთი და ეს 100 მანეთიც ყოველთვის შეავსებინონ. ბ-ნს ლალიძეს შეუძლებლად უცვნია ზოგიერთ პირობის შესრულება და სთხოვა საბჭოს, რამდენიმე ხნით გადადებულ იქმნეს საქმის განხილვა, რომ წარადგინოს განმარტება პირობის ზოგიერთ მუხლის შესახებ. საბჭომ შეიწყნარა ბ-ნ ლალიძის თხოვნა და ერთის კვირით გადაიდო ხსენებულ საქმის განხილვა.

გუბერნატორი წინადადებას იძლეოდა, რომ იმათ, რომელთაც მეეტლეობა სურთ, პოლიციისაგან აიღონ მოწმობა შესახებ იმისა, რომ სანდო პირნი არიან. გარდა ამისა, ნება მიეცეს პოლიცმეისტერს, რომ დროგამოშვებით დაათვალიეროს ეტლები, რადგან მეეტლეები ხშირად არ ასრულებენ სავალდებულო დადგენილებას. საბჭომ ერთხმად მიიღო წინადადება, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეტლების დათვალიერებას დაესწროს ქალაქის გამგეობის წარმომადგენელი.

საბჭოს მოხსენდა კათოლიკეებისა და ვექილების ქუჩების მცხოვრებთა თხოვნა შესახებ იმისა, რომ კათოლიკეების მოედანზედ აიკრძალოს ხე-ტყით ვაჭრობა. გუბერნატორმა წინადადება მისცა საბჭოს შეიწყნაროს ხსენებული თხოვნა. გამგეობა იმ აზრისაა, რომ კათოლიკეების მოედანი დაინიშნოს მხოლოდ ურემებით შემოტანილ ზეზის გასაჩერებლად; რაც შეეხება ხე-ტყეს, საშენ მასალას, ამისათვის დაქირავებულ იქმნას ბალახვანის ქუჩაზედ, საეპარქიო სასწავლებლის პირდაპირ მდებარე თავ. [illegible]შვილის და კოკოჩაშვილის ადგილი, სივრცით 700 ოთხ-კუთხი საჟენი, ორი წლით, 250 მანეთად წლიურად. ამ ადგილის ხრეშით გასამაგრებლად [illegible] შეტანილ იქმნეს მომავალი წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვაში 500 მანეთი. საბჭომ ერთხმად მიიღო გამგეობის მოხსენება.

წაკითხულ იქმნა ხმოსნის გ. ე. ფონ-შულცის მოხსენება შესახებ იმისა, რომ მიღებულ იქმნას ზომები ბაგრატის ტაძრის ნანგრევების განადგურებისაგან დასაცავად. ბ-ნი ფონ-შულცი იმ აზრისაა, რომ: ა) გადაიდოს 150 მანეთი ერთდროულად კედლების ზოგიერთ ჩამონგრეულ ადგილის ცემენტით შესალესად; ბ) გადადებულ იქმნეს ფული ყოველ წლიურად კედლებში აღმოჩენილ ნაპრალების ცემენტით ამოსალესად; გ) მიღებულ იქმნას ზომები, რომ ხალხში გავრცელდეს ძველი ნაშთებისადმი ინტერესი და პატივისცემა, რისთვისაც ვისარგებლოთ საიუბილეო წლით (800 წელიწადი სრულდება ტაძრის აშენების შემდეგ) და იმ ადგილზე, სადაც წინად საკურთხეველი იყო, დაიდგას მარმარილოს ფიცარი ტაძრის მოკლე ისტორიის წარწერით, რაც დაჯდება არა უმეტეს 100 მანეთისა. ბ-ნ ფონ-შულცის მოხსენება, ეს შვიდი თვეა დასეირნობდა სასულიერო და საერო უწყებებში და ბოლოს ისევ ქალაქის საბჭოს დაუბრუნდა, რომელმაც, თანახმად გამგეობის მოხსენებისა, ერთხმად დაადგინა: მიღებულ იქმნას ბ-ნ ფონ-შულცის წინადადებანი, ამისათვის ეთხოვოს ნებართვას აიმპერატორო საარქეოლოგო საზოგადოებას, რომლის ხელშიაც ბაგრატის ტაძრის ნანგრევებია.

ბოლოს მოაწია არჩევნებმა და ხმოსნებმაც გამოიღვიძეს. ა. ი. ფიფინაშვილის თავმჯდომარეობით შეუდგნენ იმის გადაწყვეტას, თუ რამდენი დაენიშნოს ჯამაგირად გამგეობის ახალის წევრს. აქ კი აიხადა ფარდა და ნათლად გამოჩნდა ზოგიერთების ფიზიონომია, რომელნიც, ეტყობოდათ, საზოგადო საქმით კი არა, პირადის ინტერესებით იყვნენ გამსჭვალულნი. მიუხედავად იმისა, რომ გამგეობის უმცროს წევრს 1500 მანეთი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს მიერ უკვე დადგენილი იყო მეორე წევრსაც 1500 მანეთი დანიშნოდა ჯამაგირად,—ეხლა ზოგიერთებმა, სხვა რომ ვერა მოახერხეს, მოინდომეს ახალის წევრის, გრ. ი. ბ-ნ გველესიანის, ჯამაგირის შემცირება,—1200 მანეთი დაენიშნოსო, ალბად, იმიტომ, რომ უარი განეცხადებინა წევრობის კანდიდატობაზე. საქმე კენჭის ყრით გადასწყდა: 20 ხმის უმეტესობით 11-ის წინააღმდეგ დადგენილ იქმნა, დაენიშნოს ახალს წევრს 1500 მანეთი. პირველმა ხერხმა რომ ვერ გასჭრა, ეხლა მეორეს მიმართეს და ითხოვეს არჩევნების გადადება: თუ ჯამაგირი 1500 მანეთი იქნებოდა, არ ვიცოდით (ხედავთ.), თორემ შეიძლებოდა კარგი კანდიდატი გვეშოვნაო, მაგრამ არც ამ ხერხმა გასჭრა: უმეტესობამ საჭიროდ დაინახა ეხლავე მომხდარიყო არჩევნები, რომ ქალაქის მოურავის პეტერბურგს გაგზავნა არ დაგვიანდესო. წერილებით ასახელებენ კანდიდატებს. გრ. ი. გველესიანმა მიიღო 17 ხმა, დ. ბ. მდივანმა 3 ხმა, თავ. ნ. დ. ერისთავმა 1 და ა. მ. გაბაშვილმა 1. რადგან სხვებმა უარი განაცხადეს ყუთის დადგმაზე, კენჭი უყარეს მხოლოდ გრ. ი. გველესიანს. კენჭების დათვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გრ. ი. გველესიანს მოუვიდა 21 თეთრი და 11 შავი კენჭი, ამგვარად არჩეულ იქმნა გამგეობის წევრად ბ-ნი გველესიანი.

რუსეთის ქრონიკა

◆ 7 ნოემბერს მუშათა იაფ-ფასიან ბინის მომწყობ საზოგადოების წევრებმა დაათვალიერეს პეტერბურგში თითქმის სრულიად დასრულებული ხუთ-სართულიანი სახლი. ამ სახლში ბინების გარდა, იქნება პატარა ეკლესია, ძუძუ-მწოვარ ბავშვების თავშესაფარი, ბიბლიოთეკა, კლუბი და ამბულატორია მუშებისათვის. ბინა, ორი ოთახი სამზარეულოთი, ღირება 12—13 მან.; სამი—16—18 მ. ყველა ბინებში გაყვანილია წყალი, გაკეთებულია ჰაერის გასაწმენდი და პატარა საკუჭნაოები. შენობა ამ ზაფხულზე სრულიად დასრულდება ეს. საზოგადოება კიდევ აპირებს ორ ამისთანა სახლის აშენებას.

◆ როგორც „პრავო" გადმოგვცემს, შინაგან საქმეთა მინისტრმა გაანთავისუფლა პოლიციის ზედამხედველობისაგან და ნება დართო წავიდეს არხანგელსკიდან უფის სასტატისტიკო ბიუროს გამგე პაშკოვი. პაშკოვი გაგზავნა არხანგელსკის გუბერნიაში პლევემ 1903 წელს 5 წლით სასამართლოში საქმის გაურჩევლად, რადგანაც „პოლიტიკურად არა საიმედო" კაცად ჩასთვალეს.

◆ ნაფიც ვექილის თანაშემწეს შამერს, რომელიც მოსკოვიდან იყო გაგზავნილი, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ნება მიეცა მოსკოვში დაბრუნებისა.

◆ ქ. ბახმუტიდან „პრიდნ. კრაი"-ს ატყობინებენ, რომ არასოდეს ხმოსანი გლეხები ისეთ მძლავრ ოპოზიციას არ წარმოადგენდნენ, როგორც წრეულსაო. უფრო და უფრო თვალსაჩინოდ ხდება იმათი სურვილი საერობო საქმეებში ჩარევისა.

◆ ვოიკის ქარხანაში ამას წინად მუშათა გაფიცვა მოხდა, რომელიც მუშა ქალების საჩივრით იყო გამოწვეული. ქალები ბევრ უწესოებას ითმენდნენ ხელოსან შმიტცისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ქარხნის პატრონებმა ბევრი დაუთმეს გაფიცულთ, გაფიცვა მაინც არ მოისპო. კოტკის გაზეთები იტყობინებიან, რომ ჰელსინგფორსიდან მოსული აგიტატორები მოქმედებენ მუშათა შორისაო. მუშებმა მიიღეს აგრეთვე მრავალი რევოლვერი. ადმინისტრაციამ ცოტათი დააწყნარა მუშები და ეხლა ქარხანა თითქმის სრულის წესით მუშაობს, რადგან 400 ახალი მუშა მიიღეს და 200 ისევ გაფიცული ძველი მუშა. 2 ნოემბერს ვიღაცამ მიან-

---

როდესაც ის, ვინც პატრონობს მას, პატრონობის მაგიერ, მტრობას დაუწყებს...

⁂

იშვიათი მოვლენაა იმიტომაც, რომ საზოგადოდ ჩვენ ძალიან გვეზარება თავის თავის მოვლა და პატრონობა ისე გაგვიჯდა ძვალსა და რბილში სხვისი ბატონობა, ისე შევეხვეწებივართ სხვას პირში ლუკმა პურისთვის, ისე შევეჩვიეთ სხვის მბრძანებლობას და წინამძღოლობას, რომ საკუთარის გონებით ფეხსაც ვერ გადავდგამთ, ასეთი ფეხის გადადგმა დიდ დანაშაულობად მოგვაჩნია. ავად რომ ვიყოთ, არა გვჯერა, ვიდრე სხვა არ გვეტყვის, რომ ავადა ვართ; რომ გვშიოდეს, არასა ვგრძნობთ, ვიდრე სხვები არ გვაგრძნობინებენ ამას; თავში რომ გვცემდნენ, არა გვგონება-რა თუ არ დაგვიყვირეს, რომ გვირტყამენ...

განა ჩვენ რომ ჩვენი თავი გვიყვარდეს, ვიყვეთ საკუთარი თავის პატრონი, პატივსა ვსცემდეთ ჩვენს პიროვნებას,—გავიგონებდით ასეთს საზიზღარს ამბებს, რომლებიც დღეს ყოველის მხრიდან გვესმის? ძნელად თუ სადმე მოიძებნება ვინმე, რომელიც ემტერებოდეს თავის თავს ისე, როგორც ჩვენ ვემტერებით ჩვენს თავს! თითქოს სრულებით არ გაგვაჩნია თავმოყვარეობის ნასახი, და მერე იმიტომ კი არა, რომ თავმდაბალნი ქრისტიანენი ვიყოთ, არამედ სულ-დაბალნი ვართ, რომელნიც ვთრთით, ვკანკალებთ უფროსის წინაშე! თავმდაბალი ადამიანი ამაყია, მას არავის არ აშინია, იგი მხოლოდ პატივსა სცემს ყველას, ჩვენ კი მუნჯურს შიშს ვემორჩილებით და პატივს არა ვსცემთ არავის, როგორც არა ვსცემთ საკუთარს თავს. მხოლოდ მათრახია ჩვენი მბრძანებელი!..

არის ერთი მოვლენა, რომელიც რამდენჯერმე აღმინიშნავს ჩემს „პატარა ამბებში". საქართველოში ძნელად თუ ვინმე მოიპოვება, რომელმაც არ იცოდეს ბათუმელ ჯამბაზის პალმის სახელი, რომელსაც არ წაეკითხოს, თუ როგორ იხსენიებს ეს ბატონი ქართველებს, როგორ გვძულვართ და გვზიზღებთ ჩვენ, როგორ უსამართლოდ და უსაფუძვლოდ გვლანძღავს წადმა-უკუღმა. თუ ადამიანს მცირედ არის თავის ღირსების სიყვარული აქვს, პატივს სცემს თავის ადამიანობას, ღირსეულად მიეგებება პალმისთანა ვაჟბატონის საქციელებს და არ დაიჭერს მაინც მასთან მეგობრობას და ამხანაგობას. ჩვენში რას ვხედავთ? პალმის გაზეთის ერთი თანამშრომელთაგანი თანამშრომლობს ქართულ გაზეთში. პალმის თანამშრომლებს (საზიზღარის ხელობის ადამიანებს) თანამშრომლად იწვევენ ქართველები ბათუმის საბჭოში. ქართული დასი წარმოდგენის განცხადებებს ჰბეჭდავს პალმის გაზეთში და ვითომდა სახელს იკეთებს მისის რეცენზიებით და თანაგრძნობით ბევრი ქართველი იწერს პალმის გაზეთს და ხელშიაც არ აიღებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. .

ერთი მითხარით გულახდილად: ამისთანა ამბავს გაიგონებთ დედამიწის ზურგზე სხვაგან სადმე? ან შეურაცხყოფს თავის თავს სხვა რომელიმე ერი?.. არა, მე არ ვქადაგებ კაცთა სიძულვილს, შოვინიზმს, ერთა შორის მტრობას,—მაგრამ სულ უბრალო თავმოყვარეობა უნდა გვქონდეს, თუ არა? ეს არ შეგვიძლია მოვთხოვოთ ჩვენს თავს? მაშ რა უნდა მოვთხოვოთ! ან თუ სრულებით არაფერი მოგვეთხოვება, არავითარი მოვალეობა არ არსებობს ჩვენთვის?.. და სადაც არ არის რაიმე მოვალეობა, იქ ხომ სრულიადაც არაფერი არ არის, არ არის არავითარი უფლება, იქ არ არის ნამდვილი ცხოვრება, მხოლოდ სიზმარია და ზღაპარი, როგორც შენიშნა ზევით ერთმა ჩემმა ამხანაგმა.

შეიძლება, ამიტომაც მიგვაჩნია ჩვენი თავი ქართველებს უბედურებს—ბედნიერებად, მშიერებს—მაძღრებად, უუფლებოებს—უფლებიანებად, უღირსებს—ღირსებიანებად, ლაჩრებს—გულადებად, თავის მტრებს—თავმოყვარეებად, მონებს თავისუფლებად, იმიტომ, რომ მუდამ ძილში—სიზმარში ვიმყოფებით და ყველაფერი უკუღმა გვეჩვენება—არა ისე, როგორც არის, არამედ ისე, როგორც არ არის ნამდვილად!..

სიტყვა.

ღამე ქარხნის ორთქლის ქვაბი აფეთქდა და კინაღამ მრავალი ხალხი დაღუპა. დამნაშავე ჯერ ვერ აღმოაჩინეს.

◆ აქაური გაზეთი სწერს, რომ სტუდენტები, რომლებიც სატაკუნტის ზემლიაჩესტვოს ეკუთვნიან, ჰელსინგფორსის მუშათა ორგანიზაციის მონდობილებით გულითად სიმპატიას და პატივისცემას უცხადებენ ბოიკის ქარხნის მუშებს და ამას გარდა პროტესტს აცხადებენ ერთი გაზეთის წინააღმდეგ, რომელიც ამბობს, რომ მუშები მადლობელნი უნდა იყვნენ იმათი, ვინც სამუშაოს აძლევთო.

◆ საერო განათლების სამინისტრომ სასწავლო ოლქის მზრუნველთ აცნობა, იმ უნივერსიტეტებში, სადაც საექიმო ფაკულტეტებია, დაიჩქარონ და თებერვალში მოახდინონ გასათავებელი გამოცდა, რადგან ექიმები ომის გარდა საჭირონი იქნებიან კიდევ გაზაფხულზე ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად. („რუს. ვედ.“)

◆ შინაგან საქმეთა მინისტრის სტატს-სეკრეტარ პლევეს მოკვლის შესახებ საქმის გარჩევა დანიშნულია პეტერბურგის სამოსამართლო პალატაში ნოემბრის ბოლო რიცხვებისთვის.

◆ მალე შინაგან საქმეთა სამინისტროში განსაკუთრებული კომისია შეუდგება სამაზრო და სასოფლო პოლიციის შესახებ დებულების გადათვალიერებას. ამ საქმისათვის მიწვეულნი არიან ეგრეთვე სამაზრო და სასოფლო პოლიციის წარმომადგენელნი („რუსკ. ვედ.“).

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
13 ნოემბერი.

მუკდენი, 12 ნოემბერი (საკუთ. კორ.). ყველა იმ ადგილებში, რომელიც დაჭერილი აქვთ, იაპონელებმა თავიანთი მმართველობა შემოიღეს და ხალხს ბაჟი დაადეს: ყოველ დაკლულ ღორსა და ცხვარზე—ერთი დოლარი, ხარზე—ორი დოლარი. სურსათ-სანოვაგეზე ნიხრია დაწესებული: ფუთ ხორცზე სამ მანეთამდე. არა თუ ჩინელები, იაპონელების მომხრე ინგლისელი ვაჭრებიც-კი ინკოუში შეწუხებული არიან რუსების წასვლაზე. რადგან ადგილობრივ მცხოვრებლებს ცოტა შემოაქვთ, იაპონელები, როგორც ამბობენ, საქონელსა და იმის საკვებს ჰყიდულობენ კაბანზაში და ცინჩოუფუში, საიდანაც ფარულად გამოაქვთ ნავებით ვაიცაოს ნავთსადგურით ინკოუში და იქ დიდ საწყობებში აგროვებენ. თუმცა ზამთარი მოახლოვდა, სველი თოვლიც მოდის, მაგრამ ყოველ დღე მოდიან სურსათ-სანოვაგეთი სავსე გემები.

შანხაი, 13 ნოემბ. („რეიტერი“). ჩინეთის მთავრობა იმის კვლევაშია ეხლა, თუ რამდენად მოსახერხებელია ამ ჟამად სახელმწიფოებს შეეხვეწონ, შუამავლობა იკიდონ მშვიდობიანობის აღსადგენად.

— დღეს „რასტოროპნი“-ს მეზღვაურები მოვიდნენ აქ და იქვე დააბინავეს, სადაც „ასკოლდ“-ისა და „გროზავოი“-ს მეზღვაურები არიან.

ტოკიო, 12 ნოემბ. ირკუტსკისაკენ გაატარეს 20 საქონლის ვაგონი „წითელის ჯვრისათვის“ სამკურნალო მოწყობილობით.

ლონდონი, 13 ნოემბ. („რეიტერი“). გაზეთი „დეილი ქრონიკლ“-ი ამტკიცებს, რომ 16 ოქტომბერს ლივერპულიდან გასული ინგლისის გემი „ფილც უილიამ“-ი, რომელიც ამ სამის კვირის წინ უნდა გოტენბურგს მისულიყო, ჯერაც არსადა სჩანს და უეჭველია ჩაიძირა. ეს გემი ჩრდილო ზღვაში 20 ოქტომბერს უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ ხანებში მეორე გემის მეზღვაურებმა გამოაცხადეს, დავინახეთ როგორ ააფეთქეს ჩრდილოეთ ზღვაში ერთი ჩვენთვის უცნობი გემიო.

— გაზეთებში დაბეჭდილია ნიუ-იორკიდან გამოგზავნილი შემდეგი დეპეშა: ხმა დადის, ვენეცუელას მთავრობამ განიზრახა რუსეთს დაუთმოს საკანონერო ნავი „რესტორაცორ“-ი, რომელსაც წინად „ატლანტა“ ერქვა და ამერიკელ კაპიტალისტს გულდს ეკუთვნოდა.

სეული, 11 ნოემბერი („რეიტერი“). კორეიაში ამ ჟამად დიდი პოლიტიკური მოძრაობაა. როგორც ამბობენ, ის პოლიტიკური საზოგადოება, რომელიც ამას წინად დაარსდა, უნდა დაიხუროს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
13 ნოემბერი.

ჩიფუ, 13 ნოემბერი. 8 ნოემბერს დალუნგაოდან წამოსული ჩინელი ამბობს, რომ ამ ჟამად მეციხოვნე ჯარი 20 ათას კაცისაგან შესდგება; ამ რიცხვში ნახევარი ფორმოზის მცხოვრებლები და კორეელებიაო. ფორმოზიდან ყოველ დღე მოდის ჯარი. იაპონელები ჩინელებს ღებულობენ სამსახურში და თვეში 18 დოლარს აძლევენ. ილუს ახლოს დაინახეს იაპონიის 13 დიდი სამხედრო გემი.

ტოკიო, 12 ნოემბერი. „ცენტრალ ნიუზ“-ი ოფიციალურად იუწყება, რომ 10 ნოემბერს, ღამის პირველ საათზე, რუსებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში იაპონელთა მოწინავე რაზმებზე ლიამუტუნის ჩრდილოეთით, მაგრამ იაპონელებმა სროლა აუტეხეს და უკან დაახევინეს. ამავე დროს რუსის არტილერიამ ყუმბარები დაუშინა რკინის გზის ხიდს შახეზე. რუსების ბატარეებმა 30-ჯერ ისროლეს, მაგრამ ხიდი ვერ დააზიანეს.

კარდიფი, 13 ნოემბერი. ამ კვირაში აქ შეუკვეთეს 40 ან 50 ათას ტონნაზე მეტი საუკეთესო ქვა-ნახშირი ვიდრე წინად უკვეთავდნენ. ეს ქვა-ნახშირი უნდა მიიტანონ იაპონიის ნავთ-სადგურებში და უზრუნველჰყონ ყოველ სამხედრო შემთხვევისაგან.

პორტ-საიდი, 12 ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება, რომ ბალტიის ფლოტი დღეს განთიადისას შევიდა არხში. წინ ნაღმიანი გემები მიდიოდნენ, რომელთაც ნაღმიანი გემი „ბოდრი“ მიუძღოდა, შემდეგ კრეისერი „ალმაზ“-ი, რომელსაც საფლაგმანო გემი მისდევდა. ამ გემზე რუსის პოლიტიკური აგენტია. სანამ რუსის ესკადრა არხს გაივლიდეს, სხვა გემების მიმოსვლა არხში შეწყვეტილია.

ტბა ტიმზა, 12 ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ის სიტყვით, ბალტიის მთელმა ესკადრამ გაიარა დღეს არხი დილის $8^{1}/_{2}$ საათზე. ნაპირებს სასტიკად იცავდნენ ეგვიპტეს სალდათები და დარაჯები.

სუეცი, 12 ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება, რომ რუსის ყველა ნაღმიანმა გემმა დაღამებამდის გაიარა არხი. ისინი ამ ჟამად სუეცის რეიდზე არიან გაჩერებულნი. სხვა გემები ჯერ-ჯერობით არ მოსულან. „მალაკა“ დღეს გათენებისას გაჩერდა რუსის ფლოტის პირდაპირ.

პეტერბურგი, 13 ნოემბერი. რადგან სამხრეთ მანჯურიაში ცივი ამინდი დადგა, მუკდენის უფროსმა მოხელეებმა დახმარებისათვის მიმართეს პეკინს და სთხოვეს გამოჰგზავნონ ღარიბ ხალხისათვის ტანისამოსი, რომელიც იქ ძნელი საშოვარია. დამზადებულ საქონლის გაგზავნა არ მოხერხდა იაპონიის ელჩის პროტესტის გამო, რომელმაც გამოაცხადა, ტანისამოსი რუსებისათვისაა დანიშნული და იმისი გაგზავნა ნეიტრალიტეტის დარღვევას ნიშნავსო.

პეტერბურგი. 13 ნოემბერი უქვეშევრდომილესი დეპეშა გენ.-ად. კუროპატკინისა 12 ნოემბრიდან. 1-ლი: „მანჯურიის არმიის მთელ ფრონტზე 11 ნოემბერს აქა-იქ ზარბაზნებისა და თოფების სროლა იყო, რომელიც სიმაგრეების მუშაობას უშლიდა ხელს, როგორც ჩვენ, ისე მოწინააღმდეგეთაც. 12 ნოემბერს შეტაკების შესახებ მოხსენებანი არ მოსულა“. მეორე: „11 ნოემბერს ღამით შეტაკების შესახებ მოხსენება არ მოსულა“.

სეული, 11 ნოემბერი. გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, რომ იაპონელები აპირებენ ელექტრონის რკინის გზის გაყვანას, რომელიც სეულ-ფუზანის რკინის გზის გაგრძელება იქნებაო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
12 ნოემბერი

პეტერბურგი. ჯევათისა (ბაქოს გუბ.) ერევნისა, შარურო-დარალაგეზისა და ჯულფის მაზრები (ერევნის გუბ.) ხოლერის მხრით საშიშ ადგილებად აღნიშნულია.

ბერლინი, 12 ნოემბერი. საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვით, 1905 წელში გემების ასაშენებლად ნაანგარიშევია 70 მილიონი და 70 ათასი მარკა.

იაროსლავი. საერო განათლების მინისტრი 12 ნოემბერს პეტერბურგს წავიდა.

უფა, 12 ნოემბერი. ქალაქის შუაგულ ადგილს ცეცხლმა გაანადგურა ვაჭრის ბოგოროვის საწყობი. ზარალი—240 ათასი მანეთია.

კიევი, 12 ნოემბერი. კიევის საზოგადოება ბუნების მეტყველების მასწავლებელთა იწვევს, ოლქის მზრუნველის ნებართვით, კრებას ბუნების მეტყველების, გეოგრაფიისა და ფიზიკის მასწავლებელთა. კრება 28 დეკემბერს გაიხსნება.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 12 ნოემბერი.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,30
ბერლინისაზე „	47,30
პარიზისაზე „	$87{,}52^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	6-$7^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	92
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	$89^{3}/_{8}$
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	$424^{1}/_{2}$
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	322
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	$272^{1}/_{2}$
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
$4^{1}/_{2}$% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	91
$4^{1}/_{2}$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	$244^{1}/_{2}$

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს.(10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგ. ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტევოსოვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ა. ყაზბეგის თხზულება არ გაეგზავნათ იმათ, ვისაც წლიური ფული მარტო გაზ. „ცნობის ფურცლის“ 6 მ. 55 კ. და „ცნობის ფურცლის“ და „მოამბის“ 11 მ. 55 კ. არა ჰქონდათ შემოტანილი. ფულის შემოტანისთანავე პრემია გაეგზავნებათ.



ევალდ იანკოვსკ

კაფელის ფეჩები, ღუმელები.

სამზარეულოს პლიტები რკინისა და კაფელისა.

ფაიანსის ნაჭრები კედლებისათვის ფასები 25 მანეთიდან

გამართვა ძველის ფეჩებისა და პლიტებისა.

საწყობი: ტფილისი, მიხეილის ქ. № 15.
(30—30) ტელეფონი № 281.

ტფილისში ტანისამოსის მაღაზია

ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთული ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგათ და დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—4

ი. ს. ანანოვის მემკვიდრეთა

აჯამეთის მამულში ისყიდება:

1) დარჩეული ნამყენი ადგილობრივის და ევროპიულის ჯიშისა,
2) ამერიკულ ვაზის ლერწი სხვა და სხვა ჯიშისა: Rupestris mont., Riparia gl. და Ripariat Rupestris 101^{14}.
3) ფესვიანი ნერგები ამერიკულ ჯიშის ვაზებისა.

ადრესი: Ст. Аджаметы З. К. Ж. Д. Управляющему имѣніемъ А. М. Татевосяну. (15—1)



СѢДЕЛЬН, СПЕЦІЯЛЬК

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი [illegible]ვისა, № 92, საზაფხულო სიბრ[illegible] [illegible] (7—176—9.

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

მაღაზია თბილისში

კ. დ. კობახიძისა

(შუა-ბაზარში, სოლომონოვის ქუჩის კუთხეში).

მიღებულია დიდ-ძალი საეკლესიო ნივთები, ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვალეულობა. მსურველს გაეგზავნება საქონელი ფას დადებითაც, მხოლოთ უნდა გამოგზავნოს მანეთზე 15 კაპ. ბეთ. მღვდლებს-კი გაეგზავნებათ უბეოდ, მხოლოთ წერილი უნდა იყოს შემოწმებული საეკლესიო ბეჭედით. საქონელი გაეგზავნებათ იაფ ფასათ. (10—5.—10)

თელავში

გამოსაჩენ ადგილზე ისყიდება ახლად აშენებული სამ-სართულიანი სახლი ფლიგელით დახურული ცინკ-წასმული თუნუქით. დაწვრილებითი ცნობებისათვის და ფასისთვის მიმართეთ: Москва, поварская уч., домъ Суходольскаго квартира 12, დიმიტრი ივანეს ძე როსტომოვს. (4—375—3)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—შოთა ბაბანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	1
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	2
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	7
იგივე II და III ტომი თითო	—	6
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	8
ითვლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	1
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	2
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
ადა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაცემა, პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	8
დასტურ-ლამა	—	2
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	2
ხუთი რაფიელისა, თარგ. სომხურიდან ბ. ეგანგულოვისა	1	—

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არწრუნის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწვდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება კალენდრები—ჯიბისა 10 კ. კედლისა 40 კ. ერთბაშად ბევრის მყიდველებს ფას დაკლებით.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(50—44). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე**.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა დირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(10—გ.22) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რიგის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნებისა. **ტელეფონი № 679.** (0—184)

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000) ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავალდ. პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისში, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—46)

Дозволено цензурою, 18 ноября 1904 г.

სტამბა „წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ბა“.

Электроп. „Груз. Изд. Т—ва“